როზეტა ასათიანი

ეკონომიკა

◂ სახელმძღვანელო ◂

7

საგამომცემლო ფირმა „სიახლე“
თბილისი 2004

უაკ(UDC)33(075)
ა 871

როზეტა ასათიანი. ეკონომიკა. საშუალო სკოლის VII კლასის სახელმძღვანელო. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2004. – 86 გვ.

წიგნი საშუალო სკოლებში ელემენტარული ეკონომიკის შესწავლისადმი მიძღვნილი სახელმძღვანელოების – „ეკონომიკა – კეთილი ჯადოქარი“ (V კლასი) და „ეკონომიკა“ (VI კლასი) – ლოგიკური გაგრძელებაა. ოღონდ, მათგან განსხვავებით, მასში ეკონომიკური მოვლენები და პროცესები ახსნილია არა ზღაპრის სიუჟეტზე დაყრდნობით (V კლასი), ან რეალურად, მაგრამ უმარტივესი ფორმით (VI კლასი), არამედ გაშუქებულია აკადემიურ სტილში და მოქცეულია მკაცრ მეცნიერულ ჩარჩოებში. საჭიროების შემთხვევაში თემას ერთვის გამოჩენილ მეცნიერ–ეკონომისტებზე მოკლე ბიოგრაფიები. ცოდნის შესამოწმებლად წიგნში წარმოდგენილია ტესტები და კროსვორდები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია საშუალო სკოლების VII კლასის მოსწავლეთათვის.

მეცნიერ-რედაქტორი

ლეო ჩიქავა — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი

რეცენზენტები:

ვლადიმერ პაპავა — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი;

თეიმურაზ ბერიძე — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მიხეილ ჯიბუტი — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ISBN 99940–746–3–6

© საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2004.

წინასიტყვაობა

ძვირფასო მოსწავლეებო, თანამემამულენო და ჩვენი ულამაზესი სამშობლოს – საქართველოს მომავალნო. ერთხელ კიდევ მოგესალმებით. ჩვენ უკვე მესამეჯერ „ვხვდებით“ ერთმანეთს. პირველი შეხვედრა მაშინ მოხდა, როდესაც V კლასელებს მოგაწოდეთ ჩემს მიერ თქვენთვის დაწერილი სახელმძღვანელო „ეკონომიკა – კეთილი ჯადოქარი“ და ზღაპრის ენით მოგატარეთ თვალუწვდენელი და მეტად საინტერესო სამყარო, რომელსაც ეკონომიკა ქვია. მეორე შეხვედრა კი მოხდა მაშინ, როდესაც უკვე VI კლასელებს მოგიძღვენით სახელმძღვანელო „ეკონომიკა“, რომელშიც უმარტივესი სიუჟეტებით ახსნილია არა გამოგონილი, არამედ რეალური, ნამდვილი ეკონომიკური მოვლენები და პროცესები. დარწმუნებული ვარ, რომ ამ წიგნების გაცნობითა და შესწავლით ცოტა რამ მაინც გაიგეთ ამ საინტერესო ფენომენის – ეკონომიკის შესახებ. ამასთან, ვიმედოვნებ, რომ არა მხოლოდ გათვითცნობიერდით მეცნიერების ამ დარგში, არამედ შეიყვარეთ კიდეც იგი და, ალბათ, ბევრ თქვენთაგანს აგეღძრათ სურვილი ეკონომისტი გახდეთ. არადა, როგორ სჭირდება ჩვენს საყვარელ მამულს კარგი ეკონომისტები! მაგრამ კარგი ეკონომისტები რომ გახდეთ, ჯერ კიდევ დიდი გზა გაქვთ გასავლელი. ამ რთულ გზაზე თქვენს დაკვალიანებაში ჩემს მიერ თქვენთვის ბოძებული წიგნები მცირეოდენ წვლილს თუ მაინც შეიტანს, უბედნიერესად ჩავთვლი თავს. მოკლედ, ასეთი თანამშრომლობით, ხელი–ხელს ჩაკიდებულებმა ერთად განვლოთ ეს რთული, მაგრამ საინტერესო გზა საშუალო სკოლის დამთავრებამდე.

გთავაზობთ მომდევნო, VII კლასის სახელმძღვანელოს. დანაპირები ჩემი მხრივ შესრულებულია, ახლა ჯერი თქვენზეა. აბა, თქვენ იცით!

გახსოვდეთ, საქართველოს განათლებული საზოგადოება სჭირდება, ეს საზოგადოება კი ძირითადად მისი მკვიდრი მოსახლეობისაგან უნდა შედგებოდეს. გავიხსენოთ ავადსახსენებელი ლუარსაბ თათქარიძე. იგი სკოლების დამაარსებელთ ემდუროდა და ამბობდა: „მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარა ვარ... ხორცი მე არ მაკლია და ფერიო.“ ამის გამო სამარცხვინო უკვდავებით იგი თაობათა მიერ მუდმივ განსასჯელად იქცა. შემთხვევითი არ არის, რომ ილიამ მას უძეოდ გადაშენება არგო წილად. ეს სავსებით კანონზომიერი იყო. არ შეიძლება თათქარიძეებმა მემკვიდრეები დაუტოვონ საქართველოს...

გემშვიდობებით კეთილი სურვილებით.

როზეტა ასათიანი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

გავლილი მასალიდან
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
(I–II გაკვეთილი)

1. რას ნიშნავს სიტყვა „ეკონომიკა“ და სად წარმოიშვა იგი?
2. რა არის ეკონომიკა?
3. რას შეისწავლის ეკონომიკა როგორც მეცნიერება?
4. რა კავშირი არსებობს მოთხოვნილებებსა და შესაძ-ლებლობებს შორის?
5. რა კავშირი არსებობს შეზღუდულობასა და არჩევანს შორის?
6. რა არის საზოგადოების არსებობისა და განვითარების მთავარი პირობა?
7. რატომ არის ნატურალური მეურნეობა მოთხოვნილე-ბების დაკმაყოფილების პრიმიტიული გზა?
8. ჩამოაყალიბეთ საქონლური მეურნეობის უპირატესო-ბები.
9. როგორ აღმოცენდა ბაზარი და რა როლი შეასრულა ამ მხრივ შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ?
10. რა როლი შეასრულა ზედმეტმა პროდუქტმა ბაზრის აღმოცენებაში?
11. რაში მდგომარეობს ბაზრის „უხილავი ხელის“ არსი? ვინ არის მისი ავტორი?

12. როგორ შემოიჭრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი უდიდებულესობა საქონელი?

13. რატომ არის მომსახურება თანამედროვე ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელი?

14. როგორ აღმოცენდა ფული და რა როლი შეასრულა გაცვლის განვითარებამ მის წარმოშობაში?

15. ჩამოაყალიბეთ და დაახასიათეთ ფულის ძველი და თანამედროვე ფორმები.

16. რა უპირატესობა აქვს ქაღალდის ფულს ლითონის ფულთან შედარებით?

17. რა არის კაპიტალი და რა ნაწილებად იყოფა იგი?

18. საით მიედინება კაპიტალი?

19. განასხვავეთ ერთმანეთისაგან შემოსავალი, დანახარჯი, მოგება, წაგება.

20. რა არის ეკონომიკის ძირითადი მექანიზმი?

21. განასხვავეთ ერთმანეთისაგან მონოპოლია და კონკურენცია.

22. რატომ არის კონკურენცია პროგრესის მამოძრავებელი ძალა?

23. რა არის ინფლაცია, მისი რა სახეობები არსებობს და რით განსხვავდება მისგან დეფლაცია?

24. რა არის გადასახადი? ჩამოთვალეთ მისი სახეები.

25. რა არის ბანკი, ანაბარი, სესხი, გირაო და ბანკის სარეზერვო თანხა?

26. რა არის აქცია, აქციონერული საზოგადოება, აქციების საკონტროლო პაკეტი და დივიდენდი?

27. განასხვავეთ ერთმანეთისაგან დახურული და ღია აქციონერული საზოგადოებები.

28. ჩამოთვალეთ საქართველოში არსებული აქციონერული საზოგადოებები?

29. რატომ არის ეკონომიკა კეთილი ჯადოქარი და მეცნიერება საოცრებების შესახებ?

30. გსურთ თუ არა ღრმად დაეუფლოთ ეკონომიკურ მეცნიერებას? იქნებ ეკონომისტიც გსურთ გახდეთ?

ცხოვრებას აახლებს, ცვლის და
წინ ეწევა ცოდნა და მეცნიერება

ილია

I თავი

ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობის წანამძღვრები

მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებსა და თავისებურებებს სწავლობს. თითოეულ მათგანს თავისი თავისებურებები აქვს. ამიტომ ასეთ მრავალფეროვან სამყაროს არა ერთი, არამედ სხვადასხვა მეცნიერებები შეისწავლის. ბუნების საიდუმლოებებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ასტრონომია, ბიოლოგია, ფიზიკა და ა.შ.) იკვლევს, ხოლო საზოგადოების განვითარებას – საზოგადოებრივი მეცნიერებები. მათ რიცხვს ეკონომიკაც განეკუთვნება. გარდა ეკონომიკისა, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა მიმართულებებს შეისწავლის ისტორია, იურისპრუდენცია, ენათმეცნიერება, სოციოლოგია და ა.შ. ეკონომიკურ მეცნიერებას მთავარი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის. ეს აიხსნება მისი კვლევის სფეროს განმსაზღვრელი როლით.

ეკონომიკის როგორც მეცნიერების წანამძღვრების წარმოშობის წინა პერიოდი (III გაკვეთილი)

ეკონომიკის როგორც მეცნიერების წანამძღვრების ჩანასახი უძველესი პერიოდის აღმოსავლეთის მოაზროვნეთა მოძღვრებებში იღებს სათავეს. თავდაპირველად ეკონომიკის შესახებ პრიმიტიული წარმოდგენები იყო და მათ ძველეგვიპ-

ტურ პაპირუსებში, ქვაზე ამოკვეთილ ლურსმულ წარწერებში, ძველინდურ „ვედებში“ და ა.შ. ვხვდებით. შემდეგ, ეკონომიკის მეცნიერულად გააზრების მცდელობა გამოჩნდა ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონებში (ძვ. წ. XVIII ს.), ჩინეთში – კონფუცისა (ძვ. წ. VI–V სს.) და სიუნ–ძის (ძვ. წ. III ს.) შეხედულებებში, ინდოეთის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ძეგლში – „არხაშასტრში“ (ძვ. წ. IV–III სს.) და ა.შ.

ეკონომიკური მეცნიერების საწყისების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ანტიკური საბერძნეთის მოაზროვნეებს – ქსენოფონტის, პლატონსა და არისტოტელეს.



ქსენოფონტი
(430–354)

ქსენოფონტმა დაწერა წიგნი „ოიკონომია“ და ამით პირველმა მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა სიტყვა „ეკონომიკა“. ამრიგად „ეკონომიკა“ ბერძნული წარმოშობისაა. იგი (oiconomia) სიტყვა–სიტყვით საოჯახო მეურნეობის მართვას („ოიკოს“ – სახლი, მეურნეობა და „ნომოს“ – წესი, კანონი) ნიშნავს. სწორედ ქსენოფონტის ამ ნაშრომში გადმოცემულია საოჯახო მეურნეობისა და მიწათმფლობელობის სანიმუშოდ წარმართვის იმდროისათვის მეტად საყურადღებო წესები.



პლატონი
(427–347)

პლატონი, თავის ნაშრომებში – „სახელმწიფო“ და „კანონები“, იხილავდა ეკონომიკის მეტად მნიშვნელოვან საკითხებს და განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებდა შრომის დანაწილების, გაცვლისა და ფულის ურთიერთდამოკიდებულებაზე.



არისტოტელე
(384–322)

არისტოტელეს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ეკონომიკის როგორც მეცნიერების წანამძღვრებისათვის საფუძვლების მომზადებაში. მის ნაშრომებში გარკვეული ადგილი ეთმობა ეკონომიკური საკითხების კვლევას. კერძოდ, „ნიკომაქეს ეთიკაში“ პირველად არის გაშუქებული მრავალი ეკონომიკური კატეგორია,

კანონი და მათ შორის ურთიერთკავშირი. **არისტოტელემ „ეკონომიკისაგან“ განასხვავა „ქრემატისტიკა“, როგორც არა მეურნეობის მართვის, არამედ როგორც ფულის კე–თების ხელოვნება.**

მიუხედავად იმისა, როგორიც უნდა ყოფილიყო ანტიკური ეპოქისა და შემდგომი პერიოდის დიდ მოაზროვნეთა შეხედულებები ეკონომიკის შესახებ, მას მაინც არ ჰქონდა სისტემური ხასიათი. ეკონომიკა არ წარმოადგენდა მეცნიერების ცალკე, დამოუკიდებელ დარგს, ვინაიდან არ არსებობდა მეცნიერების კლასიფიკაცია. იგი მხოლოდ მეცნიერების ერთიან სისტემაში იყო ჩართული.

ასე რთულად იკაფავდა გზას ეკონომიკა როგორც მეცნიერება ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების სისტემური შესწავლის შესახებ და გამოკვეთილად ხაზგასმით აღსანიშნავი არაფერი ყოფილა XVI – XVII საუკუნეებამდე, ვიდრე ამ პერიოდში არ ჩამოყალიბდა **პირველი ეკონომიკური მიმდინარეო–ბა – მერკანტილიზმი,** რომელმაც მნიშვნელოვანი წანამძღვრები შექმნა ეკონომიკის როგორც მეცნიერების ფორმირებაში.

მერკანტილიზმი – პირველი ეკონომიკური მიმდინარეობა
(IV გაკვეთილი)

მერკანტილიზმი თავდაპირველად წარმოიშვა ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში, ხოლო მოგვიანებით – რუსეთში. ეს იყო პერიოდი, როდესაც ოქროს ციებ–ცხელება მოედო მსოფლიოს და ძვირფასი ლითონების მოსაპოვებლად ახალი კონტინენტების ძებნა დაიწყო, რასაც მრავალი ეკონომიკური პროცესის, მათ შორის, ვაჭრობის განვითარება მოჰყვა.

სიტყვა „მერკანტილიზმი“ იტალიური წარმოშობისაა და ვაჭარს ნიშნავს (mercante – ვაჭარი, მოვაჭრე). მერკანტილიზმი, როგორც ეკონომიკური მიმდინარეობა, საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე ამახვილებდა ყურადღებას და მას ქვეყნის სიმდიდრის

ზრდის გადამწყვეტ პირობად მიიჩნევდა. მერკანტილიზმის კვლევის ობიექტსაც სწორედ მიმოქცევის (ყიდვა–გაყიდვის) სფერო წარმოადგენდა.



სტაფორდი (1554–1612)

განასხვავებენ ადრინდელ და გვიანდელ მერკანტილიზმს. ადრინდელი მერკანტილიზმის წარმომადგენლებია ინგლისელი უ. სტაფორდი (1554–1612), იტალიელი გ. სკარუფი (1519–1584) და ა.შ. მათ ქვეყნის სიმდიდრის ზრდის აუცილებელ პირობად აქტიური ფულადი ბალანსი და, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ფულის თავმოყრა მიაჩნდათ. ამიტომ მერკანტილისტები მოითხოვდნენ საზღვარგარეთ ფულის გატანის აკრძალვას და მთავრობას ურჩევდნენ უცხოელი ვაჭრები აეძულებინათ ნავაჭრი თანხა იმავე ქვეყანაში დაეხარჯათ.



სკარუფი (1519–1584)



თ. მენი (1571–1641)

გვიანდელი მერკანტილიზმი, რომელიც აღმოცენდა XVI საუკუნის ბოლოს, ფართოდ განვითარდა XVII საუკუნეში. მისი მთავარი წარმომადგენლებია ინგლისელები თ. მენი (1571–1641) და დ. იუმი (1711–1776), ფრანგი ა. მონკრეტიენი* (1575–1621), იტალიელი ბ. დავანცეტი (1529–1606) და ა.შ. ადრინდელი მერკანტილისტებისგან განსხვავებით, ისინი ქვეყნის სიმდიდრის ზრდის გადამწყვეტ პირობად აქტიურ სავაჭრო ბალანსს და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის გამდიდრების ერთადერთ გზად საზღვარგარეთ რაც შეიძლება მეტი საქონლის გატანას მიიჩნევდნენ.



დ. იუმი (1711–1776)

ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ჯ. რობინსი (1903–1983) აღნიშნავდა, რომ მერკანტილიზმი ერის გამდიდრების გზას

---

* I თავის ბოლოს იხილეთ **ანტუან მონკრეტიენის** მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

სხვის, დანარჩენის ხარჯზე, ვაჭრობიდან ნამეტის მიღებაში ხედავდა.

მერკანტილისტური მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებად ფრანგი ანტუან მონკრეტიენი და ინგლისელი თომას მენი ითვლებიან.

მონკრეტიენმა 1615 წელს გამოსცა წიგნი **„პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“.** სიტყვა „პოლიტიკური“ მან პლატონისგან „ისესხა“ („პოლიტიკოს“ ბერძნულია და სახელმწიფოებრივს ნიშნავს). აქედან გამომდინარე, მას აინტერესებდა არა ის ეკონომიკა, რომელიც მხოლოდ საოჯახო მეურნეობის მართვას შეისწავლიდა, არამედ ისეთი მეცნიერება, რომლის კვლევის სფეროც მთლიანად სახელმწიფო მეურნეობის მართვა იქნებოდა, ანუ მას აინტერესებდა **მეცნიერება სახელმწიფო მეურნეობის მართვის შესახებ.** ამ სახელწოდებით მონკრეტიენმა ახალი ელფერი შესძინა ქსენოფონტის მიერ შემოღებულ ტერმინს – ეკონომიკას. მაგრამ მისი მთავარი დამსახურება ის კი არ არის, რომ მან მეცნიერებას ახალი სახელი მოუძებნა, არამედ ის, რომ პირველმა დაწერა ეკონომიკის თეორიული საკითხებისადმი მიძღვნილი წიგნი და ამით ეკონომიკური მეცნიერების თეორიული წანამძღვრები შექმნა.

მონკრეტიენი სიმდიდრის წყაროდ შრომას მიიჩნევდა, თუმცა შრომის სფეროს მხოლოდ ვაჭრობით შემოფარგლავდა და ხელოსნობის მთავარ მიზნად ვაჭრობას მიიჩნევდა.

თომას მენმა თავისი მერკანტილისტური შეხედულებები ორ ნაშრომში ჩამოაყალიბა. პირველი წიგნი – „ფიქრები ოსტ-ინდოეთთან ინგლისის ვაჭრობაზე“ 1621 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მეორე – „ლონდონის სიმდიდრე საგარეო ვაჭრობაში ანუ ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბალანსი როგორც სიმდიდრის რეგულატორი“ – 1664 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ მერკანტილისტებმა მნიშვნელოვანი წანამძღვრები შექმნეს ეკონომიკის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებაში და ამით საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში, მაინც სამართლიანო-

ბა მოითხოვს ითქვას, რომ მათ ვერ შეძლეს ეკონომიკური მოვლენების სიღრმისეული ანალიზი, რის გამოც ეკონომიკური მეცნიერების კვლევის სფერო მხოლოდ მიმოქცევის სფეროთი შემოფარგლეს. ამიტომაც, სავსებით კანონზომიერი იყო, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ეკონომიკური აზრის განვითარების კვალობაზე, ეკონომიკის მკვლევართა ყურადღების ცენტრმა მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში გადაინაცვლა. **მერკანტილიზმი შეიცვალა ფიზიოკრატიზმით.**

ფიზიოკრატიზმი
(V გაკვეთილი)



ვ. მირაბო (1715–1789)

სიტყვა „ფიზიოკრატიზმი“ ბერძნული წარმოშობისაა და ბუნების ძალაუფლებას ნიშნავს (physis ბუნება + kratos ძალაუფლება). ფიზიოკრატიზმი, როგორც მერკანტილიზმის შემდგომი ეკონომიკური მიმდინარეობა, წარმოიშვა საფრანგეთში XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. იგი აღმოცენდა როგორც რეაქცია მერკანტილისტური მიმდინარეობის მიმართ. ფიზიოკრატიზმი სწრაფად გავრცელდა იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, შვედეთსა და სხვა ქვეყნებში.



დიუპონ დე ნემური (1739–1817)



ჟან ტიურგო (1727–1781)

ფიზიოკრატიზმის მამამთავარი ფრანსუა კენე* იყო. გარდა ამისა, ფიზიოკრატული სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლებია ვ. მირაბო (1715–1789), დიუპონ დე ნემური (1739–1817), რობერტ ჟან ტიურგო (1727–1781) და ა.შ.

მეტად საყურადღებოა ჩვენთვის ერთი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება: კენეზე გაცილებით ადრე ფიზიოკრა-

---

* I თავის ბოლოს იხილეთ ფრანსუა კენეს მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725)

ტული შეხედულებები ჩამოაყალიბა სულხან-საბა ორბელიანმა თავის იგავ-არაკთა კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ („წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, 1686-1695).

ფიზიოკრატებმა უარყეს მერკანტილისტური შეხედულება სიმდიდრის შექმნის თაობაზე და სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ არა ვაჭრობა, არამედ სოფლის მეურნეობა, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარება მიიჩნიეს. ამით მათ კვლევის სფერო მიმოქცევიდან წარმოებაში გადმოიტანეს, თუმცა წარმოების სფერო მხოლოდ სოფლის მეურნეობით შემოფარგლეს. აქედან გამომდინარე, ფიზიოკრატები მთავრობას ურჩევდნენ ყურადღება გაემახვილებინა არა ვაჭრობის, არამედ მხოლოდ სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით „მიწის წარმოების“ განვითარებაზე.

მიუხედავად ფიზიოკრატების ასეთი შეზღუდულობისა და ცალმხრივი შეხედულებებისა, მათ მაინც უდიდესი როლი შეასრულეს ეკონომიკის როგორც მეცნიერების წანამძღვრების მომზადებაში.

ფიზიოკრატების მიერ ეკონომიკის ცალმხრივმა შეფასებამ XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში ადგილი ახალ ეკონომიკურ მიმდინარეობას დაუთმო. ამ მიმდინარეობას კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ეწოდებოდა.

გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტთა მოკლე ბიოგრაფიები

ანტუან მონკრეტიენი – მერკანტილიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი

(VI გაკვეთილი)



ა. მონკრეტიენი (1575–1621)

ანტუან მონკრეტიენი ლუდოვიკო XIII–ის დროინდელი ღარიბი ფრანგი აზნაური იყო. მან მოკლე, მაგრამ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. მონკრეტიენი ცნობილი იყო როგორც პოეტი, ამასთან, დუელის მოყვარული მეამბოხე. იგი კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ფრანგი პროტესტანტების ერთ–ერთი აჯანყების მეთაურიც კი იყო. მოკლეს 46 წლის ასაკში. სიკვდილის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი: მკვდარი ეწამებინათ, ცხედარი დაეწვათ და ფერფლი ქარისთვის გაეტანებინათ.

მიუხედავად ასეთი დასასრულისა, მონკრეტიენის სახელმა ეკონომიკური მეცნიერების ისტორიის თანავარსკვლავედში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. ასეთი აღიარების საფუძველი სწორედ მისი ნაშრომი – „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატია“, რომელიც მან მეფე ლუდოვიკო XIII–ს მიუძღვნა. ამ წიგნს ეკონომიკური მრჩევლის როლი დაეკისრა, რის გამოც იგი სასახლის კარზე კარგად მიიღეს, ხოლო მისმა ავტორმა ლუარის შატილიონში ქალაქის თავის ადგილიც კი დაიკავა.

მონკრეტიენმა გარდა იმისა, რომ პირველმა შემოიტანა ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“, აღნიშნული წიგნით ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობის მნიშვნელოვანი წანამძღვრები შექმნა.

ფრანსუა კენე – ფიზიოკრატიზმის მამამთავარი
(VII გაკვეთილი)



ფ. კენე
(1694–1774)

ფ. კენე დაიბადა პარიზის მახლობლად, გლეხის ოჯახში. განათლებით ექიმმა XVIII საუკუნის 30–იან წლებში წიგნიც კი გამოსცა მედიცინის საკითხებზე. ლუდოვიკო XV–ის კარის ექიმმა 60 წლის ასაკში დაიწყო ეკონომიკური საკითხების შესწავლა.

ფ. კენეს სახელს უკავშირდება ფიზიოკრატული სკოლის ჩამოყალიბება. მან პირველმა ეკონომიკური მეცნიერების კვლევის სფერო მიმოქცევიდან წარმოების სფეროში გადმოიტანა. კენემ 1758 წელს გამოსცა თავისი შემდგომში გახმაურებული ნაშრომი – „ეკონომიკური ტაბულა“, რომელშიც გააკრიტიკა მერკანტილისტური შეხედულებები სიმდიდრის შექმნის თაობაზე და სიმდიდრის წყაროდ მხოლოდ მიწათმოქმედებაში გამოყენებული შრომა აღიარა. კენეს ჰყავდა მიმდევრები არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ფიზიოკრატული სკოლა საკმაოდ ძლიერი იყო. მან დიდი როლი შეასრულა ეკონომიკის როგორც მეცნიერების საბოლოოდ ჩამოყალიბებაში.

საკონტროლო კითხვები

1. სად უნდა ვეძებოთ ეკონომიკის როგორც მეცნიერების საწყისი?

2. რა როლი მიუძღვით ანტიკური საბერძნეთის უდიდეს მოაზროვნეებს – ქენოფონტის, პლატონსა და არისტოელეს ეკონომიკის როგორც მეცნიერების წანაძღვრების საფუძვლების მომზადებაში?

3. რა განსხვავებაა ეკონომიკასა და ქრემატისტიკას შორის?

4. რით არის აღსანიშნავი XVI–XVII საუკუნეები

ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში?

5. რა არის მერკანტილიზმი?

6. რით განსხვავდება ადრინდელი და გვიანდელი მერკანტილიზმი ერთმანეთისაგან?

7. რა როლი შეასრულა მერკანტილიზმმა ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობაში?

8. ჩამოთვალეთ მერკანტილიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

9. რით დაიმკვიდრა სახელი ანტუან მონკრეტიენმა ეკონომიკური აზრის ისტორიაში?

10. რა ეკონომიკური მიმდინარეობით შეიცვალა მერკანტილიზმი და რატომ?

11. როდის აღმოცენდა ფიზიოკრატიზმი?

12. რით განსხვავდება ფიზიოკრატიზმი მერკანტილიზმისაგან?

13. ვინ იყო ფიზიოკრატული სკოლის მამამთავარი და მისი რომელი ნაშრომია თქვენთვის ცნობილი?

14. ჩამოთვალეთ ფიზიოკრატული სკოლის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები.

15. რა როლი შეასრულა ფიზიოკრატიზმმა ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობაში.

საშინაო დავალება

1. დაწერეთ თემა:

ანტუან მონკრეტიენისა და ფრანსუა კენეს როლი ეკონომიკის როგორც მეცნიერების წანამძღვრების მომზადებაში.*

2. ქართულ მხატვრულ ნაწარმოებებში მოძებნეთ მერკანტილისტური და ფიზიოკრატული შეხედულებები.

---

* გამოიყენეთ სხვადასხვა ენციკლოპედიები და ლექსიკონები.

II თავი

ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობა

ეკონომიკური თეორია – პირველი ეკონომიკური მეცნიერება

(VIII გაკვეთილი)

ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობა XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედს უკავშირდება, როდესაც ინგლისში აღმოცენდა კლასიკური პოლიტიკური ეკონომია. ეს იყო დიდი ისტორიული მოვლენა. ამ პერიოდიდან უკვე **მეცნიერების ერთიან სისტემას გამოეყო ეკონომიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება ეკონომიკური თეორიის სახით.** ეკონომიკურ თეორიას, როგორც ეკონომიკური მეცნიერების საწყისსა და დედაბოძს, იმ პერიოდში პოლიტიკური ეკონომია* ეწოდებოდა. სწორედ იგი, **კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის** სახით, დაედო საფუძვლად ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და მის კლასიფიკაციას.

უილიამ პეტი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სათავეებთან**

(IX გაკვეთილი)

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია სათავეს უილიამ პეტის შეხედულებიდან იღებს. უ. პეტის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მამასაც კი უწოდებდნენ. პეტის დიდი დამ-

---

* თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება იმ პოლიტიკური ფაქტორების კვლევა, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. „ახალი პოლიტიკური ეკონომია“ შეისწავლის პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთმოქმედების კანონზომიერებებს.

** II თავის ბოლოს იხილეთ **უილიამ პეტის** მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

სახურება არის ის, რომ მან სიმდიდრის წყაროდ არა მიმოქცევის, არამედ საერთოდ წარმოების სფერო მიიჩნია. მისი აზრით, ვაჭრობა მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ მას არ შეუძლია ერის გამდიდრება, ეს მხოლოდ წარმოებას ძალუძს. ამასთან, პეტის დიდი შეცდომაა ის, რომ მან ყურადღება მხოლოდ სიმდიდრის ორ ფაქტორს – შრომასა და მიწას მიაქცია და ყურადღების მიღმა დატოვა კაპიტალი. იგი აღნიშნავდა: „შრომა მამაა და უაქტიურესი წყარო სიმდიდრისა, ხოლო მიწა – დედაა მისი“. უ. პეტის კალამს ეკუთვნის: „ტრაქტატი გადასახლებისა და მოსაკრებლების შესახებ“ (1662), „ირლანდიის პოლიტიკური ანატომია“ (1672), „პოლიტიკური არითმეტიკა“ (1646), „ზოგი რამ ფულის შესახებ“ (1682) და ა.შ.



დ. ნორსი (1641–1691)

მიუხედავად იმისა, რომ პეტი მოღვაწეობდა XVII საუკუნეში, მან თავისი შეხედულებებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ჩამოყალიბებაში. გარდა პეტისა, ეკონომიკური თეორიის ამ ფუძემდებლური მიმართულების აღმოცენებას დიდად შეუწყეს ხელი დელეი ნორსმა, ჟან ბატისტ სეიმ და ა.შ. მიუხედავად მათი დიდი დამსახურებისა, მაინც, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლად აღიარებულნი არიან ცნობილი ინგლისელი მეცნიერები ადამ სმითი და დავიდ რიკარდო.



ჟ. ბ. სეი (1767–1832)

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის (კლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობის) აღმოცენება

(X გაკვეთილი)

რატომ იღებს სათავეს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიით ეკონომიკური თეორია როგორც მეცნიერება? რით გან-

სხვავდება კლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობა მის წინამორბედებისაგან?

გარდა იმისა, რომ კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მეცნიერული კვლევის სფერო გააფართოვა და არ შემოიფარგლა მხოლოდ სოფლის მეურნეობით ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სიმდიდრის წყარო არა მიმოქცევაში, ან მხოლოდ მიწათმოქმედებაში, არამედ მთლიანად წარმოებაში უნდა ვეძიოთ, ეკონომიკური თეორიის ამ ფუძემდებლურმა მიმართულებამ შექმნა კლასიკურ–ლიბერალური ეკონომიკური თეორია, რომელიც თავისი მასშტაბურობითა და მეცნიერული სიღრმით, რეალური ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ადეკვატური ახსნითა და სისტემური მიდგომით ჭეშმარიტად მეცნიერულ ეკონომიკურ მიმდინარეობას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ იგი საუკუნე ნახევარზე მეტ ხანს (XVIII საუკუნის 70–იანი წლებიდან XX საუკუნის 30–იან წლებამდე) საფუძვლად ედო მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას.

მაინც რაში მდგომარეობდა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის არსი? რა თეორიული მემკვიდრეობა შექმნა ინგლისურმა კლასიკურმა სკოლამ?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა უშუალოდ უკავშირდება ადამ სმითისა და დავიდ რიკარდოს შემოქმედებას.

ადამ სმითის ცნობილი ნაშრომი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776 წ.) პირველი ტრაქტატია, რომელიც განიხილავს ეკონომიკის საკვანძო საკითხებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან კავშირში. ეს წიგნი კაცობრიობის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლად არის აღიარებული, რომელმაც მის ავტორს „ეკონომიკის მამამთავრის“ სახელი მოუტანა. იმ დროისათვის ა. სმითის ნაშრომი ეკონომიკური ცოდნის ენციკლოპედიას წარმოადგენდა. მასში წამოჭრილი სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების სიმწვავემ მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

„ხალხთა სიმდიდრის“ მთავარი კრედო ეკონომიკის ლიბერალიზაციაა, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევას, მოთხოვნა–მიწოდების საფუძველზე ჩამოყალიებული თავისუფალი ფასებით ბაზრის თვითრეგულირებას გულისხმობს. ასეთ თვითრეგულირებას ა. სმითმა, როგორც ცნობილია, „უხილავი ხელი“ უწოდა.

ა. სმითმა დაასაბუთა შრომის როლი წარმოების ზრდასა და კაპიტალის დაგროვებაში. იგი ეყრდნობოდა თავისუფალი კონკურენციის სიტემას. ა. სმითი ეჭვის თვალით უყურებდა კერძო კაპიტალით მონოპოლიების შექმნას. მისი აზრით, მათი მეშვეობით თამაშიდან გამოდის კონკურენცია. მართალია, ა. სმითი იყო Laissez-faire-ის (დაე, წავიდეს თავისი გზით) მომხრე, მაგრამ იგი ანარქიის სასტიკი წინააღმდეგი იყო და გარკვეულ შემთხვევებში ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობასაც კი აღიარებდა. მაგალითად, ადამ სმითის აზრით, სახელმწიფომ უნდა დაიცვას ტარიფების შემოღების გზით მრეწველობის ახალი დარგები, აგრეთვე, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს მისი სამი ძირითადი ფუნქცია – უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სამართლიანობის დაცვა და საზოგადოებრივი საქონლის წარმოება.

ა. სმითმა შექმნა მოძღვრება შემოსავლების შესახებ, ჩამოაყალიბა სახელმწიფო ფინანსებისა და დაბეგვრის თეორია, საფუძველი ჩაუყარა შრომითი ღირებულების თეორიას, გამოიკვლია ღირებულების (ფასეულობის) შექმნაში შრომის მწარმოებლურობის არსი. სმითს ეკუთვნის ხელფასის რამდენიმე თეორია, მათ შორის, მოხმარების ფიზიკური მინიმუმის (საცხოვრებელი მინიმუმის) თეორია.

ა. სმითმა წინამორბედი ეკონომიკური მიმდინარეობების – მერკანტილიზმისა და ფიზიოკრატიზმის კრიტიკულ შეფასებასა და მათი მცდარი თეორიული დასკვნების გამოაშკარავებასთან ერთად, დაასაბუთა საერთაშორისო ვაჭრობის აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით, მის სახელს უკავშირდება აბსოლუტური უპირატესობის თეორიის შექმნა.

კლასიკური
პოლიტიკური ეკონომიის განვითარება
(XI გაკვეთილი)

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განვითარება უკავშირდება დავიდ რიკარდოს* სახელს. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ეკონომიკის არაერთი სფეროს კვლევაში. დ. რიკარდოს ცნობილი ნაშრომია „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ (1817 წ.). დ. რიკარდოს სახელთანაა დაკავშირებული შრომითი ღირებულების თეორიის შექმნა, სადაც იგი ეყრდნობა შეხედულებას, რომლის მიხედვით შრომა ფასების მთავარი შემადგენელია, აქედან გამომდინარე, ფასწარმოქმნას საფუძვლად უდევს საქონელში განივთებული საზოგადოებრივი შრომა, რომ ეს უკანასკნელი ღირებულების წყაროა, რომლისგანაც სათავეს იღებს ნებისმიერი შემოსავალი (ხელფასი, მოგება, რენტა, სარგებელი).

დ. რიკარდომ გამოიკვლია ეკონომიკური თეორიის მეცნიერების ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა ღირებულება, ფულის მიმოქცევა, ინფლაცია, გადასახადები, მიწის რენტა, შრომის საერთაშორისო დანაწილება, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და ა.შ.

რიკარდომ განავითარა ა. სმითის მოძღვრება. მან, სმითის აბსოლუტური უპირატესობის თეორიის საფუძველზე, შექმნა შეფარდებითი უპირატესობის თეორია.

როგორც სმითი, ისე რიკარდო და საერთოდ, კლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობა ძირითადად იკვლევდა ეკონომიკური განვითარების პრობლემებს, სიმდიდრის შექმნის წყაროებს, ეროვნული პროდუქტის განაწილებას კაპიტალის მესაკუთრეებს შორის თავისუფალი კონკურენციის პირობებში. სწორედ ეკონომიკის კვლევისადმი ასეთი სისტემური მიდგო-

---

* II თავის ბოლოს იხილეთ **დავიდ რიკარდოს** მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

მით დასაბამი მიეცა **ეკონომიკის როგორც მეცნიერების, კერძოდ კი, ეკონომიკური თეორიის წარმოშობას.** ამრიგად, კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ განავითარა ფიზიოკრატული თეორია, გაათავისუფლა იგი მრავალი შეზღუდულობისა და წინააღმდეგობებისაგან.

გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტთა მოკლე ბიოგრაფიები

უილიამ პეტი – კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მამა

(XII გაკვეთილი)



უ. პეტი (1623–1687)

უილიამ პეტი მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება იყო. მან ჯერ მედიცინა შეისწავლა ლონდონის, პარიზისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში, ხოლო 1650 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში ფიზიკის დოქტორის ხარისხი მიიღო, 1651 წელს ანატომიისა და მუსიკის პროფესორი გახდა. მან სამედიცინო დარგში თავისი ნაშრომებით იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

პეტის სპეციალური ეკონომიკური განათლება არ ჰქონია. მედიცინაში შემუშავებული მეთოდოლოგია და პრინციპები მას ეკონომიკის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, შესწავლაში დაეხმარა. პეტიმ ერთ-ერთმა პირველთაგანმა წამოაყენა იდეა ეკონომიკაში ობიექტურ კანონზომიერებათა შესახებ, რომლებსაც იგი ბუნების კანონებს ადარებდა. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო ეკონომიკური თეორიის განვითარებაში.

ადამ სმითი – ეკონომიკური მეცნიერების მამამთავარი და კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი

(XIII გაკვეთილი)

ა. სმითი
(1723–1817)

ადამ სმითი დაიბადა შოტლანდიის ქალაქ კერკოლდში (ედინბურგის მახლობლად). მას მამა დაბადებამდე გარდაეცვალა, გაზარდა დედამ.

სმითმა განათლება გლაზგოსა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში მიიღო. ეკონომიკის გარდა სრულყოფილად ფლობდა ფილოსოფიას, მათემატიკას, ასტროლოგიას, პოლიტიკურ მეცნიერებებს, იურისპრუდენციას, სოციოლოგიას. იყო გლაზგოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი.

ა. სმითმა ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის კლასიკურ–ლიბერალური სკოლის ფუძემდებლისა და მაღალი რანგის მეცნიერის სახელი დაიმკვიდრა.

დავიდ რიკარდო – კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი, სმითის მოძღვრების განმავითარებელი

(XIV გაკვეთილი)

დ. რიკარდო
(1772–1823)

ადამ სმითისაგან განსხვავებით, დავიდ რიკარდო კომერციულ საქმიანობას მისდევდა. რიკარდოს მამა მდიდარი ებრაელი, ბირჟის მფლობელი იყო. 14 წლის რიკარდომ დაიწყო მუშაობა საფონდო ბირჟაზე ბროკერად, 16 წლისა, უკვე მამის უახლოესი თანაშემწე იყო, მაგრამ შემდეგ, 21 წლის რიკარდოს ქრისტიანი ქალი შეუყვარდა და მამასთან უთანხმოების გამო მემკვიდრეობის გარეშე დარჩა. მაშინ მან თვითონ

დაიწყო ბირჟის მაკლერად მუშაობა და 25 წლის ასაკში სამი შვილისა და სოლიდური ქონების პატრონი გახდა. 42 წლის ასაკში რიკარდომ დიდი სიმდიდრე დააგროვა, რამაც საშუალება მისცა მიეტოვებინა კომერციულ სფეროში საქმიანობა და თავისი შესაძლებლობები მოესინჯა ჯერ მინერალოგიაში, ხოლო შემდეგ ეკონომიკურ მეცნიერებაში. ეკონომიკის კვლევისადმი მისი ინტერესის გაძლიერებაში უდიდესი როლი შეასრულა ადამ სმითის ცნობილმა ნაშრომმა „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“.

რიკარდოს პირველი ნაშრომი იყო 1809 წელს გამოქვეყნებული საგაზეთო სტატია, რომელიც საფუძვლად დაედო მის პირველ ტრაქტატს – „ოქროს ზოდების მაღალი ფასი“ (1810 წ.).

აღსანიშნავია, რომ რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ ინგლისურიდან ქართულ ენაზე 1937 წელს თარგმნა ლაიპციგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ცნობილმა ქართველმა ეკონომისტმა, პროფესორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა (რუსულ ენაზე ითარგმნა ოთხი წლის შემდეგ – 1941 წელს).

დავით რიკარდოს მიერ წამოყენებული იდეები ეკონომიკური აზრის ოქროს ფონდშია შესული.

საკონტროლო კითხვები

1. **საიდან დაიწყო ეკონომიკის როგორც მეცნიერების ისტორია?**
2. **როდის წარმოიშვა კლასიკური პოლიტიკური ეკონომია?**
3. **საიდან იღებს სათავეს კლასიკური პოლიტიკური ეკონომია?**
4. **ვინ იყვნენ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლები?**
5. **რით განსხვავდება კლასიკური პოლიტიკური ეკონო-**

მია მერკანტილიზმისა და ფიზიოკრატიზმისაგან?

6. როდის წარმოიშვა ეკონომიკური თეორია როგორც მეცნიერება?

7. რატომ იღებს სათავეს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიით ეკონომიკური თეორია როგორც მეცნიერება?

8. დაასახელეთ ადამ სმითისა და დავით რიკარდოს ცნობილი ნაშრომები.

9. რატომ ითვლება ადამ სმითი „ეკონომიკის მამამთავრად“?

10. რა როლი მიუძღვის დავით რიკარდოს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში?

საშინაო დავალება

დაწერეთ თემა:

უილიამ პეტისა და ადამ სმითის როლი ეკონომიკის როგორც მეცნიერების აღმოცენებაში.*

გავლილი მასალის გამეორება

(XV გაკვეთილი)

1. რა წვლილი მიუძღვით ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობაში ანტიკური საბერძნეთის უდიდეს მოაზროვნეებს – ქსენოფონტის, პლატონსა და არისტოტელეს?

2. დაასახელეთ და დაახასიათეთ პირველი ეკონომიკური მიმდინარეობა. როდის აღმოცენდა იგი?

3. რა როლი მიუძღვის მერკანტილიზმს ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობაში?

---

* გამოიყენეთ სხვადასხვა ენციკლოპედიები და ლექსიკონები.

4. გამოყავით ადრინდელი და გვიანდელი მერკანტილიზმის წარმომადგენლები.

5 რატომ უჭირავს გამორჩეული ადგილი ანტუან მონკრეტიენს მერკანტილიზმის წარმომადგენელთა შორის?

6. რატომ არ იწყება მერკანტილიზმით ეკონომიკის როგორც მეცნიერების ისტორია?

7. რომელმა ეკონომიკურმა მიმდინარეობამ გადაიტანა ეკონომიკური კვლევის სფერო მიმოქცევიდან წარმოებაში?

8. როდის და სად აღმოცენდა ფიზიოკრატიზმი?

9. ჩამოთვალეთ ფიზიოკრატიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

10. რამ განაპირობა ფიზიოკრატების ასეთი შეზღუდულობა, რომ მათ წარმოების სფერო მხოლოდ მიწათმოქმედებით შემოფარგლეს?

11. რატომ უწოდებენ ფრანსუა კენეს მერკანტილიზმის მამამთავარს?

12. რა როლი შეასრულა მერკანტილიზმმა და ფიზიოკრატიზმმა ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობაში?

I ტესტი

1. ვის ეკუთვნის ნაშრომი „ოიკონომია“?

ა). არისტოტელეს;

ბ) პლატონს;

გ) ქსენოფონტის.

2. სადაური წარმოშობისაა სიტყვა მერკანტილიზმი?

ა) იტალიური;

ბ) ფრანგული;

გ) ბერძნული.

3. ვინ იყო ანტუან მონკრეტიენი?

ა) ფიზიოკრატი;
ბ) მერკანტილისტი;
გ) ანტიკური საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნე.

4. საიდან წარმოიშვა სიტყვა ფიზიოკრატიზმი?

ა) ბერძნულიდან;
ბ) ფრანგულიდან;
გ) ლათინურიდან.

5. ვინ დაწერა „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“?

ა) არისტოტელემ;
ბ) მონკრეტიენმა;
გ) კენემ.

6. ვინ იყო ფრანსუა კენე?

ა) მერკანტილისტი;
ბ) ანტიკური ხანის დიდი ბერძენი მოაზროვნე;
გ) ფიზიოკრატი.

7. ვინ დაწერა „ეკონომიკური ტაბულა“?

ა) პლატონმა;
ბ) კენემ;
გ) ქსენოფონტიმ.

8. როდის გამოქვეყნდა ადამ სმითის ნაშრომი „გამოკ-ვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“?

ა). 1776 წელს;
ბ). 1876 წელს;
გ). 1676 წელს.

9. რა არის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კრედო?

ა). ეკონომიკის მონოპოლიზაცია;
ბ). ეკონომიკის ლიბერალიზაცია;
გ). ეკონომიკის ცენტრალიზაცია.

10. ვინ თარგმნა ქართულად დავით რიკარდოს „პოლი-ტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“?

ა). ფილიპე გოგიჩაიშვილმა;

ბ). პაატა გუგუშვილმა;

გ). ვასილ ჩანტლაძემ.

საშინაო დავალება

1. **შეადგინეთ თემის შესაბამისი ტესტები;**

2. დაწერეთ თემა:

ეკონომიკური თეორია – პირველი ეკონომიკური მეცნი-ერება.

III თავი

თანამედროვე ძირითადი ეკონომიკური მიმდინარეობები

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია

(XVI გაკვეთილი)

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ბაზაზე ეკონომიკურ თეორიაში აღმოცენდა სხვადასხვა მიმდინარეობა. ერთ-ერთი ასეთი მიმდინარეობა მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია იყო, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი და საპროგრამო დოკუმენტი გახდა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც შეეცადნენ აეშენებინათ სოციალისტური საზოგადოება.

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის წარმოშობა დაკავშირებულია კარლ მარქსის* სახელთან. მარქსის ეკონომიკური შეხედულებები ძირითადად მის გახმაურებულ ნაშრომში – „კაპიტალის“ ოთხ ტომშია ჩამოყალიბებული, რომლის პირველი ტომი თვითონ გამოსცა 1867 წელს, მომდევნო ტომები კი – მისმა თანამოაზრემ ფრიდრიხ ენგელსმა.

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია, ერთი მხრივ, დაუპირისპირდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებში კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას და შექმნა სრულიად განსხვავებული თეორია, ხოლო, მეორე მხრივ — კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მიერ გამოკვლეული ზოგიერთი თეორია განავითარა და გააღრმავა. მაგალითად, მარქსის სახელთანაა დაკავშირებული მიწასა და სხვა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმება და სა-

---

* III თავის ბოლოს იხილეთ **კარლ მარქსის** მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

ზოგადოების თითოეული წევრის თანაბარი უფლებით ცენტრალიზებული მართვის საფუძველზე სახელმწიფო ტიპის ეკონომიკის შექმნა. აქედან გამომდინარე, თუ კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ეკონომიკის ლიბერალიზაციის იდეას ეყრდნობოდა, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის კრედო ეკონომიკის ცენტრალიზაცია იყო. მარქსმა ღრმად შეისწავლა ადრეული კაპიტალიზმის ბუნება, მაგრამ ვერ შეძლო განეჭვრიტა მისი მომავალი და აღმოჩნდა კომუნისტური საზოგადოების შესახებ ცრუ წარმოდგენების ტყვეობაში.

როგორც ცნობილია, შრომითი ღირებულების თეორია კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კუთვნილებაა. მის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დ. რიკარდოს, მაგრამ ეს თეორია შემდეგ განავითარა კ. მარქსმა.



ვ. ნორდჰაუსი

მარქსმა გამოიკვლია გაცვლის პროცესის განვითარების კანონზომიერი ეტაპები. მაშინ, როდესაც XVIII საუკუნის ბოლომდე ბატონობდა რაციონალისტური კონცეფცია, რომელიც ფულს ძველი კანონმდებლობის გენიალურ ჩანაფიქრად თვლის და ფულის წარმოშობას უკავშირებს ადამიანებს შორის შეთანხმებას, ამის საწინააღმდეგოდ ევოლუციური კონცეფცია ფულის წარმოშობას ეკონომიკურ ურთიერთობათა და, უპირველეს ყოვლისა, გაცვლის განვითარების ობიექტურ პროცესად მიიჩნევს. მართალია, ევოლუციური კონცეფცია სათავეს სმითისა და რიკარდოსაგან იღებს, მაგრამ ამ მიმართულების ფუძემდებლად აღიარებულია მარქსი, რომელსაც თანამედროვე პირობებში მხარს უჭერენ პოლ სამუელსონი,* ვ. ნორდჰაუსი, რ. ბარი და სხვა ცნობილი მეცნიერები.



რ. ბარი

---

* III თავის ბოლოს იხილეთ **პოლ სამუელსონის** მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

მარქსის მოძღვრება ყოველთვის კრიტიკის ობიექტი იყო, მაგრამ XX საუკუნის 80–იანი წლების ბოლოს ამ კრიტიკამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. იგი დაგმობილ იქნა, თუმცა ზოგ შემთხვევაში მარქსის თეორიის კრიტიკა დღევანდელობის პოზიციიდან არ არის სწორი. მაგალითად, მოვლენები ისე განვითარდა, რომ სოციალისტური რევოლუცია არ განხორციელდა მარქსისტული მოდელით. იგი განხორციელდა მარქსის მოძღვრების საწინააღმდეგოდ. ამასთან, სწორი არ იყო მარქსისტული ეკონომიკური თეორიის დოგმად გადაქცევა, ისე როგორც სწორი არ არის მარქსის მოძღვრების ხელაღებით უარყოფა. ამიტომაცაა, რომ დასავლეთის ეკონომისტთა კრიტიკა მარქსის მიმართ არ არის მძაფრი. ისინი ჯეროვნად აფასებენ მარქსს, ეკონომიკური აზრის ისტორიაში ერთ–ერთ უძლიერეს ფიგურად თვლიან და მოიხსენიებენ მსოფლიოს ისეთ გამოჩენილ ეკონომისტთა შორის, როგორიც იყვნენ ადამ სმითი და ჯონ მეინარდ კეინზი.* პ. სამუელსონის აზრით, მარქსი იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომ სწორი არ ვიქნებით, თუ მას მხოლოდ მარქსისტებს „შევატოვებთ“.

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია ლენინის სახელთანაა დაკავშირებული. მასთან ხელოვნურად იყო დაკავშირებული ლენინის თეორია და ამიტომაც მას მარქსისტულ–ლენინური პოლიტიკური ეკონომია ეწოდებოდა.

მარქსისტულ–ლენინური პოლიტიკური ეკონომია ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი კაპიტალიზმის, ხოლო მეორე ნაწილი – სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიაა. კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია აგებულია მარქსის მოძღვრებაზე. ძირითადად მარქსის „კაპიტალზე“, რომელშიც ღრმა მეცნიერულ დონეზე გაანალიზებულია იმდროინდელი კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემა. მას აგვირგვინებდა ლენინის არამეცნიერული იმპერიალიზმის თეორია. მეორე ნაწი-

---

* III თავის ბოლოს იხილეთ **ჯონ მეინარდ კეინზის** მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

ლი ხოტბას ასხამდა და იკვლევდა სოციალიზმს, რომელიც არსებობდა ფორმით სოციალისტურ, მაგრამ შინაარსით მბრძანებლურ–ადმინისტრაციულ სისტემაზე აგებულ სახელმწიფო–მონოპოლისტური სოციალიზმის ქვეყნებში.

ასეთნაირად სახეშეცვლილი მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია საფუძვლად ედო საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას. საქართველოში, ისე როგორც მრავალ სხვა კვაზისოციალისტურ ქვეყანაში, ეს 70–წლიანი ექსპერიმენტი კრახით დასრულდა.

ეკონომიკური განვითარების რომელი მოდელი აირჩია მსოფლიოს წამყვანმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა XX საუკუნის 30–იანი წლების ღრმა ეკონომიკური კრიზისის შემდეგ?

ამ კითხვას რომ პასუხი გაეცეს, ამისთვის ჯერ განვიხილოთ ეკონომიკური თეორიის სხვა მიმდინარეობები, რომლებიც გასული საუკუნის 30–იანი წლების შემდეგ სხვადასხვა დროს საფუძვლად ედო მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას და, უპირველეს ყოვლისა, ის ეკონომიკური მიმდინარეობა, რომელმაც შეცვალა კლასიკურ–ლიბერალური თეორია (კლასიკური პოლიტიკური ეკონომია).

კეინზიანელობა და „კეინზიანური რევოლუცია“ (XVII გაკვეთილი)

1929–1933 წლებში მსოფლიოში მოხდა ღრმა ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დიდი დეპრესიის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ კრიზისმა წარმოაჩინა კლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობის ნაკლოვანებები და ის წინააღმდეგობები, რომლებიც წარმოქმნა „უხილავი ხელის“ თეორიაზე აღმოცენებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მსოფლიოს მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში. დღის წესრიგში დადგა ქვეყნის ეკონომიკის მართვაში არსებითი ცვლილების შეტანის აუცილებლობა. ასეთ ვითარებაში ჩამოყალიბდა ერთ–ერთი ძირითადი

მიმართულება ეკონომიკურ თეორიაში, რომელიც კეინზიანელობის სახითაა ცნობილი. ამ მიმდინარეობას საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა, რომლის თეორია ძირითადად აისახა მის ცნობილ ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936 წ.).

კეინზიანელობა წარმოიშვა როგორც 1929–1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე რეაქცია, როდესაც ამჟამად განვითარებული ქვეყნები იმ პერიოდში უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. კეინზი და, აქედან გამომდინარე, კეინზიანელობა დაუპირისპირდა კლასიკურ–ლიბერალურ მიმდინარეობას. შეიქმნა ეკონომიკის ლიბერალიზაციის საპირისპირო სახელმწიფო რეგულირების თეორია, რითაც რევოლუციური გადატრიალება მოხდა ეკონომიკურ აზროვნებაში.

კეინზის ნაშრომი – „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ ახალ ეტაპად არის აღიარებული ეკონომიკური აზრის ისტორიაში. მისი თეორია ეკონომიკის კრიზისული პროცესების ანალიზს ეძღვნება. კეინზმა პირველმა გამოთქვა აზრი ბაზრის „შეცდომების“ გამოსწორებისა და კრიზისული მოვლენების თავიდან აცილებისათვის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის შესახებ. მისი ვარაუდით, სახელმწიფო ხარჯების გაზრდით ან გადასახადების შემცირებით, ან ორივე ღონისძიების გატარებით, შესაძლებელია გადახდისუნარიანი მოთხოვნილების (ანუ მოთხოვნის) ამაღლება, რითაც გამოცოცხლდება ბაზარი, გაფართოვდება წარმოება და ეკონომიკას დაუბრუნდება სრული დასაქმება. ეს იყო კეინზის თეორიის მთავარი იდეა.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიის პრაქტიკაში დამკვიდრებით, კეინზიანელობამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და საბაზრო ეკონომიკის, როგორც თვისებ-

რივი თვალსაზრისით, ახალი ეკონომიკური სისტემის, ფორმირებაში. აქედან მოყოლებული, კერძო კაპიტალისტური საკუთრების ბატონობაზე დაფუძნებული კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა გადაიზარდა საბაზრო სისტემაში. სწორედ ამაში გამოიხატებოდა „კეინზიანური რევოლუციის“ არსიც. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ვიდრე 70–იანი წლების შუა ხანებამდე, მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში წარმატებით გამოიყენებოდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მოდელი. სწორედ ეს მოდელი აირჩიეს მსოფლიოს წამყვანმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა XX საუკუნის 30–იანი წლების ღრმა ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. 70–იანი წლების მეორე ნახევრიდან დასავლეთის ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა. „სახელმწიფო ინტერვენცია“ გამოვლინდა ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, ბიუჯეტის დეფიციტის ზრდაში, სახელმწიფო აპარატის გაბერვასა და, საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო გადასახადების რეკორდულ გადიდებაში. ამან გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება, რასაც მოჰყვა 1974–1975 წლების კრიზისი, რომელიც 1929–1933 წლების კრიზისის შემდეგ ყველაზე ძლიერი იყო. მან ნათელი გახადა, რომ სახელმწიფო არ იყო ყოვლის შემძლე მრავალი ეკონომიკური პრობლემის გადაჭრაში. დაიწყო კეინზიანური მოდელის მოწინააღმდეგეთა თავისებური „რენესანსი“, ხელშემწყობი პირობები შეიქმნა „სახელმწიფო მინიმუმის“ კლასიკური თეორიის აღორძინებისათვის, რომლის იდეებმაც პრაქტიკული გამოყენება პოვა ეკონომიკურ პოლიტიკაში. კერძოდ, ნეოკლასიკური თეორიის ძირითადი პოსტულატები აისახა აშშ–ის პრეზიდენტის რეიგანის პოლიტიკაში, რომელსაც „რეიგანომიკა“ ეწოდა, ხოლო დიდ ბრიტანეთში – ტეტჩერის მთავრობის პოლიტიკაში, რომელსაც ტეტჩერიზმი ეწოდა.

ნეოკლასიკური მიმდინარეობა

(XVIII გაკვეთილი)

ნეოკლასიკური მიმდინარეობა წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს. იგი მარქსისტული თეორიის თავისებური გამოძახილი იყო და სავსებით ეწინააღმდეგებოდა ამ მოძღვრებას.



კ. მენგერი



ფ. ვიზერი

ნეოკლასიკური მიმდინარეობის, როგორც ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების, სათავეებთან იდგნენ ავსტრიული სკოლის ცნობილი წარმომადგენლები – კ. მენგერი, ფ. ვიზერი, მათემატიკური სკოლის წარმომადგენლები – უ. ჯევონსი, ლ. ვალრასი, ვ. პარეტო, ზღვრული მწარმოებლურობის ამერიკული სკოლის წარმომადგენლები ჯ. კლარკი და ა.შ.



უ. ჯევონსი



ლ. ვალრასი

ნეოკლასიკურმა მიმდინარეობამ დასრულებული სახე კემბრიჯის სკოლის ცნობილი წარმომადგენლის ა. მარშალის ნაშრომებში მიიღო. ამ მიმდინარეობის თანამედროვე წარმომადგენლები არიან ჯ. ჰიკსი, ჯ. მილი (დიდი ბრიტანეთი), რ. სოლოუ, მ. ბრაუნი, მ. ფრიდმენი (აშშ)* და ა.შ.



ვ. პარეტო



ჯ. კლარკი

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია ძირითადად კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის, კლასიკურ-ლიბერალური მიმდინარეობის კურსს აგრძელებს და, აქედან გამომდინარე, მხარს უჭერს სახელმწიფოს ჩაურევ-

* III თავის ბოლოს იხილეთ **მილტონ ფრიდმენის** მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

ლობას ეკონომიკაში და ეკონომიკის ლიბერალიზაციას, საბაზრო მექანიზმით ეკონომიკის რეგულირებასა და საბაზრო წონასწორობის დამყარებას, კერძო მეწარმეობის განვითარებასა და ა.შ.

ა. მარშალი

ნეოკლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობა წარმოიშვა, პირველ ყოვლისა, შრომითი ღირებულების თეორიის კრიტიკული გადასინჯვის საფუძველზე. ავსტრიული და მათემატიკური სკოლის წარმომადგენლებმა, აგრეთვე ჯ. კლარკმა, შექმნეს ზღვრული სარგებლიანობის თეორია. პირველი ეკონომიკურ–მათემატიკური მოდელი, რომელშიც ზღვრული სარგებლიანობა ფასის ერთადერთ საფუძვლად არის მიჩნეული, შექმნა ჯევონსმა. მოგვიანებით ეს კონცეფცია განავითარა ვალრასმა საყოველთაო ეკონომიკური წონასწორობის მოდელის ასაგებად. ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ზოგადი პრინციპები შემდეგ განვითარდა კლარკის ზღვრული მწარმოებლურობის თეორიაში.

რ. სოლოუ

ჯ. ჰიკსი

ნეოკლასიკურ თეორიას სერიოზული დარტყმა მიაყენა კეინზიანური მიმდინარეობის წარმოშობამ. კეინზიანელების მხრიდან კრიტიკისა და ეკონომიკაში წარმოქმნილი ახალი მოვლენების გავლენით, ნეოკლასიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა გადასინჯეს ზოგიერთი ძველი კონცეფცია და ნაწილობრივ შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ. მათ აღიარეს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა, თუმცა შემოფარგლეს იგი რეგულირების ფულად–საკრედიტო ფორმით.

მ. ბრაუნი

ჯ. მილი

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის რეგულირების კეინზიანური მეთოდების წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავედ ილაშქრებს ნეოკლასიკური მიმდინარეობის ყველაზე გავლენიანი ნაირსახეობა – მონეტარიზმი.

მონეტარიზმი

(XIX გაკვეთილი)

მონეტარიზმის, როგორც ნეოკლასიკური მიმდინარეობის ერთ–ერთი ძირითადი თანამედროვე მიმართულების (თეორიის), მთავარი წარმომადგენელია მილტონ ფრიდმენი. ამ თეორიის წარმომადგენლებია აგრეთვე ფ. ჰაიეკი, ფ. კეიგანი და ა.შ. ისინი აგრძელებენ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ძირითად პრინციპს ეკონომიკის თვითრეგულირების შესახებ. მონეტარიზმი უპირისპირდება კეინზიანელობას. ფრიდმენი და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა წარმომადგენლები, კეინზისაგან განსხვავებით, ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის წინააღმდეგი არიან. მათი აზრით, სახელმწიფო ხარჯები, ერთი მხრივ, ზრდის ბიუჯეტის დეფიციტსა და ინფლაციას, მეორე მხრივ, იწვევს შრომის სტიმულების დაცემას და აქვეითებს წარმოების ზრდას. მონეტარისტებისთვის ეკონომიკა, პირველ ყოვლისა, არის ბაზარი, ხოლო ბაზარი – თვითრეგულირებადი სისტემა, რომელზედაც ზემოქმედება შესაძლებელია ძირითადად ფულადი მასის მოცულობის რეგულირებით.

ფ. ჰაიეკი

ფ. კეიგანი

მონეტარიზმის ძირითადი პრინციპებია: ა) ფული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა; ბ) მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს ფასების დონეზე, ამიტომ ეკონომიკის სტაბილიზაცი-

ისათვის საკმარისია სახელმწიფომ გაატაროს აქტიური ფულადი პოლიტიკა და შეზღუდოს ეკონომიკაში ჩარევის ყველა ფორმა, მათ შორის, არ გამოიყენოს საბიუჯეტო – საგადასახადო ბერკეტები; გ) ფულადი მასის მატების ტემპი წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 3–5%–ს, წინააღმდეგ შემთხვევაში ინფლაცია გაიზრდება; დ) ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედება უნდა შემოიფარგლოს ფულადი მასის მუდმივი ზრდის ტემპების შენარჩუნებით.

„კეინზიანური რევოლუციის“ საპირისპირო ნეოკლასიკური მიმდინარეობის ამ მიმართულებას დასავლეთში „ფრიდმენის ანტიკეინზიანურ რევოლუციასაც“ კი უწოდებენ.

ნეოკეინზიანელობა

(XX გაკვეთილი)

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე თეორია აღმოცენდა XX საუკუნის 50–იან წლებში კეინზიანელობის საფუძველზე. ნეოკეინზიანელებმა (დომარი, კალდორი, პარეტო, რობინსონი, ჰანსერი და სხვ.) კეინზის თეორია გამოიყენეს როგორც მეთოდოლოგიური საფუძველი ახალი პროცესების ანალიზისათვის, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ახალი მეთოდების დასაბუთებისათვის. კეინზის თეორიაზე დაყრდნობით და ამავე დროს მისი კრიტიკით, მათ შექმნეს ახალი კონცეფცია. ნეოკეინზიანელები ასაბუთებენ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ცენტრალიზებული კოორდინაციის აუცილებლობას, აქედან გამომდინარე, ასაბუთებენ ეკონომიკის გრძელვადიანი დაგეგმვის აუცილებლობას. მათ შემოიღეს ინდიკატური დაგეგმვა, რომელიც არ ზღუდავს კერძო კაპიტალის უფლებებს და საორიენტაციო ფუნქცია აკისრია.

ნეოკეინზიანელობა უპირისპირდება ნეოკლასიკურ მიმდინარეობას. ნეოკეინზიანელები ეკონომიკის სტაბილიზაციაში უპირატესობას ანიჭებენ საბიუჯეტო–საგადასახადო რეგუ-

ლირების ინსტრუმენტების გამოყენებას, ხოლო ნეოკლასიკოსები – ფულად–საკრედიტო სისტემას, აქედან გამომდინარე, ნეოკეინზანური მიმდინარეობა ასაბუთებს წარმოების სტიმულირებას სახელმწიფო ხარჯების გადიდების საფუძველზე, ხოლო ნეოკლასიკური მიმდინარეობა – პირიქით, სახელმწიფო სახსრების ეკონომიის აუცილებლობაზე მიუთითებს და აქცენტს ფულად–საკრედიტო რეგულირებაზე აკეთებს.

ნეოკლასიკური სინთეზი

(XXI გაკვეთილი)

თანამედროვე პირობებში ნეოკლასიკურმა მიმართულებამ, კეინზიანელობასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ე. წ. ნეოკლასიკურ სინთეზს. ეს უკანასკნელი კეინზიანური და ნეოკლასიკური შეხედულებების თავისებური სინთეზია. იგი გულისხმობს ეკონომიკური დაცემის პირობებში კეინზიანური, ხოლო ეკონომიკური აღმავლობისას ნეოკლასიკური მეთოდების გამოყენებას.

ნეოკლასიკური სინთეზი თანამედროვე პირობებში წარმატებით გამოიყენება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ინსტიტუციურ–სოციოლოგიური მიმდინარეობა

(XXII გაკვეთილი)



გ. როშერი

ინსტიტუციურ–სოციოლოგიური მიმდინარეობა წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს და ჩამოყალიბდა XX საუკუნის 20–30–იან წლებში. მისი წარმომადგენლებია გ. როშერი, გ. შმოლერი, ვ. ზომბარტი, უ. ჰელბრეიტი, რ. სეილბრონელი და ა.შ. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ილაშქრებენ საბაზრო ძალების წინააღმდეგ და აქცენტს მეცნიერულ–ტექნოლოგი-

ურ პროგრესზე აკეთებენ. მათი აზრით, მეცნიერულ–ტექნოლოგიურ პროგრესს ავტომატურად, ევოლუციური გზით მივყავართ საზოგადოებრივი წინააღმდეგობების ლიკვიდაციასა და უკონფლიქტო საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ. ამ მიმდინარეობის საფუძველზე წარმოიშვა ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიები, კონვერგენციის თეორია და ა.შ. გასული საუკუნის 30–იან წლებში ეს მიმდინარეობა ფართოდ დამკვიდრდა აშშ–ში, გფრ–ში, ავსტრიაში და ა.შ.

ვ. ზომბარტი

გ. შმოლერი

უ. ჰელბრეიტი

რ. სეილბრონელი

გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტთა მოკლე ბიოგრაფიები

კარლ მარქსი – გერმანელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი, იურისტი, სოციოლოგი, პოლიტოლოგი

(XXIII გაკვეთილი)



კარლ მარქსი (1818–1883)

კ. მარქსი დაიბადა გერმანიის ქალაქ ტრირში, ადვოკატის ოჯახში. სწავლობდა იურისპრუდენციას ბონის, ბერლინისა და იენის უნივერსიტეტებში. იენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი აქტიურად ჩაება პოლიტიკურ ბრძოლაში. მისი პირველი სტატიები გამოქვეყნდა „რეინის გაზეთში“, სადაც იგი პოლიტიკურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

კ. მარქსმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში გაატარა. 1849 წლიდან ცხოვრობდა ინგლისში და თავის თანამოაზრისა და მეგობრის ფრიდრიხ ენგელსის დახმარებით მრავალრიცხოვან ოჯახს ინახავდა. ეკონომიკის სფეროში გარდა „კაპიტალისა“, მარქსის ცნობილი ნაშრომებია „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ და „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“.

პოლ სამუელსონი მარქსის „კაპიტალს“ „ეკონომიკურ სახარებას“ უწოდებს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც სოციალიზმის აშენებას ფიქრობდნენ.

პოლ სამუელსონი – „ეკონომიქსის“ პირველი ავტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი

(XXIV გაკვეთილი)



პოლ სამუელსონი (დაიბადა 1915)

პოლ სამუელსონი დაიბადა 1915 წელს, სწავლობდა ჩიკაგოსა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში. იგი ცნობილი ამერიკელი ეკონომისტ–თეორიტიკოსია, რომელმაც პირველმა მსოფლიოში ეკონომიკის დარგში ნობელის პრემია 1970 წელს მიიღო. ამჟამად პ. სამუელსონი ნიუ–იორკის უნივერსიტეტის პროფესორია. იგი ხშირად გამოდის ამერიკის კონგრესის სხდომებზე, არის აშშ–ის ფედერალური სარეზერვო სისტემისა და ხაზინის მეცნიერ–კონსულტანტი.

პ. სამუელსონი იყო პრეზიდენტ კენედის მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში. სამუელსონის ნაშრომები მოიცავს მეცნიერების ფართო სპექტრს და ძირითადად წარმოდგენილია საჟურნალო სტატიების სახით. მან დაწერა მხოლოდ ორი წიგნი – „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები (1948წ.) და ცნობილი სახელმძვანელო „ეკონომიქსი“ (1945 წ.). სამუელსონმა „ეკონო-

მიქსის“ გამოცემით, რომელიც უკვე მეთექვსმეტედ გამოიცა, დიდი როლი შეასრულა ეკონომიკური განათლების სფეროში.

გასული საუკუნის 50–იანი წლებიდან მოყოლებული „ეკონომიქსი“ პერმანენტულად გამოდის სხვადასხვა ენაზე და დაისტამბა მილიონობით ეგზემპლარი.

ამრიგად, სამუელსონი თანამედროვეობის არა მხოლოდ ყველაზე გავლენიანი ეკონომისტია, არამედ სამეცნიერო წრეში ყველაზე შეძლებულიც.

პოლ სამუელსონს ჰყავს ექვსი შვილი, რომლებმაც აჩუქეს მას თხუთმეტი შვილიშვილი.

ჯონ მეინარდ კეინზი – „კეინზიანური რევოლუციის“ ავტორი

(XXV გაკვეთილი)



ჯონ მეინარდ კეინზი (1883–1946)

ჯონ მეინარდ კეინზი XX საუკუნის ბუმბერაზი ინგლისელი ეკონომისტია. მან 1900 წელს დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიეტი და პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო როგორც სახელმწიფო მოხელემ. იყო სამეფო კომისიის წევრი ინდოეთის ფინანსების სფეროში, მუშაობდა ხაზინაში, იყო მისი მთავარი წარმომადგენელი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. შემდეგ კეინზმა დატოვა ხაზინა და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა კემბრიჯის უნივერსიტეტში, პარალელურად ეწეოდა საბირჟო საქმიანობას ხიტში, თამაშობდა ლონდონის ბირჟაზე, რითაც დიდი სიმდიდრე დააგროვა. 1911 წლიდან კეინზი იყო ჟურნალ „Economik Journal“–ის გამომცემელი. კეინზი მაკმილანის წევრი იყო და დიდ გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ბრეტონ–ვუდსის კონფერენციის მუშაობაში (1944) და საერთა-

შორისო სავალუტო ფონდის დაარსებაში. გარდა ფუნდამენტური ნაშრომისა – „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, კეინზს ეკუთვნის აგრეთვე „ტრაქტატი ფულადი რეფორმის შესახებ“, „მისტერ ჩერჩილის პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები“ და სხვ.

ადამ სმითი ითვლება XVIII საუკუნის უდიდეს ეკონომისტად, კარლ მარქსი – XIX საუკუნისა, ხოლო ჯონ მეინარდ კეინზს XX საუკუნის პალმა ეკუთვნის.

მილტონ ფრიდმენი – მონეტარიზმის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი

(XXVI გაკვეთილი)



მილტონ ფრიდმენი (დაიბადა 1912)

მილტონ ფრიდმენი არის ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი და „ჩიკაგოს სკოლის“ თვალსაჩინო წარმომადგენელი. მან „ნობელის პრემია 1976 წელს მიიღო. მ. ფრიდმენის ძირითადი ნაშრომებია: „დაბეგვრა ინფლაციის ალაგმვის მიზნით“, „სამომხმარებლო ფუნქციის თეორია“, „ნარკვევები პოზიტიურ ეკონომიკაში“, „ინფლაციის მიზეზები და შედეგები“ და ა.შ. ფრიდმენი დაუპირისპირდა კეინზიანელობას და მკაცრად გააკრიტიკა კეინზის თეორია. იგი არის ნეოკლასიკური მიმდინარეობის ერთ–ერთი მიმართულების – მონეტარიზმის ფუძემდებელი.

საკონტროლო კითხვები

1. **ჩამოთვალეთ ეკონომიკური თეორიის ძირითადი მიმ–დინარეობები.**
2. **რით განსხვავდება მარქსისტული პოლიტიკური ეკო–**

ნომია კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისაგან და რა არის საერთო მათ შორის?

3. ეკონომიკური განვითარების რომელი მოდელი არჩიეს მსოფლიოს წამყვანმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა XX საუკუნის 30-იანი წლების ღრმა ეკონომიკური კრიზისის შემდეგ?

4. ვინ იყო ჯონ მეინარდ კეინზი?

5. რაში მდგომარეობს „კეინზიანური რევოლუციის“ არსი?

6. ჩამოთვალეთ კეინზის ნაშრომები და აქედან რომელ ნაშრომში აისახა ძირითადად მისი თეორია?

7. რა ისტორიული როლი შეასრულა კეინზიანელობამ?

8. კეინზიანური თეორია რა პერიოდში ედო საფუძვლად წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას?

9. XX საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდიდან რა ცვლილებები მოხდა მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და რა მიზეზებმა განაპირობა ეს ცვლილებები?

10. რაში გამოიხატება კეინზიანური მოდელის მოწინააღმდეგეთა „რენესანსი“?

11. როდის წარმოიწვა ნეოკლასიკური მიმდინარეობა და რომელ ეკონომიკურ მიმდინარეობას ეწინააღმდეგებოდა იგი?

12. რომელი ცნობილი ეკონომისტები იდგნენ ნეოკლასიკური მიმდინარეობის სათავეებთან?

13. ჩამოთვალეთ ნეოკლასიკური მიმდინარეობის თანამედროვე წარმომადგენლები.

14. რაში მდგომარეობს ნეოკლასიკური თეორიის არსი?

15. რა გავლენა მოახდინა კეინზიანელობამ ნეოკლასიკურ თეორიაზე?

16. რა არის მონეტარიზმი და რაში მდგომარეობს მისი არსი?

17. ვინ არის მონეტარისტული თეორიის მთავარი წარმომდგენელი?

18. ჩამოაყალიბეთ მონეტარიზმის ძირითადი პრინციპები.

19. რატომ უწოდებენ მონეტარიზმს „ფრიდმენის ანტიკეინზიანურ რევოლუციას?

20. როდის აღმოცენდა ნეოკეინზიანელობა და რით განსხვავდება იგი კეინზიანელობისაგან?

21. ჩამოთვალეთ ნეოკეინზიანური მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

22. რომელ ეკონომიკურ მიმდინარეობას დაუპირისპირდა ნეოკეინზიანელობა?

23. რომელი ეკონომიკური თეორია უდევს ამჟამად საფუძვლად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას?

24. რაში გამოიხატება ნეოკლასიკური სინთეზის არსი?

25. როდის წარმოიშვა ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმდინარეობა და რაში მდგომარეობს ამ მიმდინარეობის არსი?

26. ჩამოთვალეთ ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმდინარეობის წარმომდგენლები.

27. ეკონომიკის დარგში ნობელის პროემის რომელ ლაურეატებს იცნობთ?

28. დაასახელეთ პოლ სამუელსონის მსოფლიოში ცნობილი სახელმძღვანელო.

29. რომელი ცნობილი მეცნიერი თამაშობდა ლონდონის

ბირჟაზე, რითაც მან დიდი სიმდიდრე დააგროვა?

30. რატომ ეკუთვნის ჯონ მეინარდ კეინზს XX საუკუნის პალმა?

საშინაო დავალება

დაწერეთ თემა:

კარლ მარქსი, ჯონ მეინარდ კეინზი, პოლ სამუელსონი, მილტონ ფრიდმენი*

* გამოიყენეთ სხვადასხვა ენციკლოპედიები და ლექსიკონები.

IV თ ა ვ ი

ეკონომიკის კლასიფიკაცია

ეკონომიკის როგორც მეურნეობის კლასიფიკაცია

(XXVII გაკვეთილი)

ეკონომიკა როგორც მეურნეობა (ქვეყნის, საწარმოს, ოჯახის და ა.შ.), სამეურნეო საქმიანობის ერთობლიობა იყოფა მიკრო–, მაკრო–, მეზო– და მეგაეკონომიკებად.

მიკროეკონომიკა (mikros – პატარა) ქვეყნის მეურნეობის ნაწილის, საწარმოს, დარგის ეკონომიკაა. **მაკროეკონომიკა** (macros – დიდი) ქვეყნის მთლიანი მეურნეობაა, რომელიც გამოხატავს ეკონომიკის ზოგად მდგომარეობას. **მეზოეკონომიკას** ეკონომიკის ქვესისტემები (ინფრასტრუქტურა, სათბობ–ენერგეტიკა, მომსახურების სფერო და ა.შ.) მიეკუთვნება. **მეგაეკონომიკა** საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს მოიცავს.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ეკონომიკა იყოფა ორ დიდ სფეროდ და სამ სექტორად. ეს სფეროებია – მატერიალურ–ნივთობრივი წარმოების სფერო და მომსახურების სფერო. თავის მხრივ, მატერიალურ–ნივთობრივი წარმოების სფერო იყოფა ორ სექტორად, ესენია: 1) სოფლის მეურნეობა (მასთან ერთად ნადირობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა); 2) ინდუსტრია. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი იყოფა 2 მსხვილ დარგად. ესენია: 1) მრეწველობა (სამთომოპოვებითი და გადამმუშავებელი); 2) მშენებლობა. აქედან, მრეწველობა და მშენებლობა ერთად ქმნის ინდუსტრიას. სოფლის მეურნეობა ითვლება პირველად სექტორად, მეორეული სექტორია ინდუსტრია, ხო-

ლო მომსახურების სფერო – მესამეული სექტორი.

ამჟამად მსოფლიოში მოქმედებს ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახის საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია (სსდკ), რომლის მესამე ვარიანტი 1989 წელს დაამტკიცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სტატისტიკურმა კომისიამ. პირველი ვარიანტი აღნიშნულმა კომისიამ დაამტკიცა 1958 წელს, ხოლო მეორე ვარიანტი – 1968 წელს. გაეროს სსდკ მესამე ვარიანტი წინანადელებზე გაცილებით სრულყოფილია და ასახავს იმ პოზიტიურ ცვლილებებს, რაც მოხდა მსოფლიოში უკანასკნელ პერიოდში. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, მომსახურების სფეროში შედის შემდეგი დარგები: ელექტრო–, გაზ– და წყალმომარაგება; საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი; სასტუმროები და რესტორნები; ტრანსპორტი; სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა; საფინანსო შუამავლობა (სხვადასხვა სახის საფინანსო–საკრედიტო ოპერაციებთან ერთად, მასში შედის ყველა სახის დაზღვევა, გარდა სავალდებულო სოციალურისა, აგრეთვე საპენსიო უზრუნველყოფა); უძრავ ქონებასთვნ დაკავშირებული ოპერაციები; არენდა და კომერციული საქმიანობა; სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაზღვევა; განათლება; ჯანმრთელობის დაცვა; კომუნალური მომსახურება; საოჯახო მეურნეობებში დაქირავებული მომსახურება; ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები. ამ უკანასკნელში შედის ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაერო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ა.შ. რაც შეეხება საელჩოებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, ისინი კლასიფიცირებულია ქვეჯგუფში – „უცხოური საქმეები“ და შედის სახელმწიფო მმართველობაში. როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები თავიანთი კლასიფიკაციის შედგენისას ეყრდნობიან გაეროს სსდკ–ს.

ეკონომიკის როგორც მეცნიერების კლასიფიკაცია

(XXVIII გაკვეთილი)

ეკონომიკა როგორც მეცნიერება იყოფა თეორიულ და კონკრეტულ ეკონომიკურ დისციპლინებად.

ეკონომიკა როგორც თეორიული ცოდნის სფერო სწავლობს ადამიანთა ქცევას შეზღუდული რესურსების სხვადასხვა წესით გამოყენებისას. ამათგან ოპტიმალური წესის შერჩევა შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების მისაღწევად თეორიული ეკონომიკური მეცნიერების (ეკონომიკური თეორიის) ლაიტმოტივია.

ეკონომიკა როგორც კონკრეტული ეკონომიკური დისციპლინა შეისწავლის ეკონომიკის სექტორებსა (სოფლის მეურნეობას, ინდუსტრიას, მომსახურების სფეროს) და დარგებს, როგორც მთელი ეკონომიკის, ისე მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით, აგრეთვე, წარმოების კონკრეტულ მდგომარეობას.

გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკა იყოფა მიკრო–, მაკრო–, მეზო– და მეგაეკონომიკებად, თეორიული კვლევაც მიმდინარეობს ამ ნიშნის მიხედვით.

მიკროეკონომიკა ეკონომიკური თეორიის ერთ–ერთი განყოფილებაა, რომელიც შეისწავლის ცალკეული სამეურნეო ერთეულების – საოჯახო მეურნეობის, ფირმებისა და სამთავრობო დაწესებულებების ეკონომიკურ საქმიანობას.

მაკროეკონომიკაც ეკონომიკური თეორიის განყოფილებაა, რომელიც შეისწავლის ეკონომიკას, როგორც ერთ მთლიანს, იკვლევს მისი წარმართვის გზებს, ურთიერთდამოკიდებულებას წარმოებასა და დასაქმებას შორის, უმუშევრობას, ინფლაციას, ეკონომიკის ცვალებადობის მიზეზებს და სხვა მრავალმასშტაბიან ეკონომიკურ პრობლემებს. მაკროეკონომიკის ფუძემდებლად სამართლიანადაა აღიარებული ჯონ მეინარდ კეინზი.

მეზოეკონომიკა შეისწავლის ეკონომიკის განსაზღვრულ ქვესისტემებს სექტორული ეკონომიკის სახით.

მეგაეკონომიკა იკვლევს საერთაშორისო მასშტაბის ისეთ გლობალურ პრობლემებს, როგორიცაა საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები და ა.შ.

ამრიგად, სტრუქტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური მეცნიერების ერთ მხარეს არის თეორიული ეკონომიკური მეცნიერება ეკონომიკური თეორიის სახით, ხოლო მეორე მხარეს – ეკონომიკური მეცნიერების ყველა სხვა სფერო, ფუნქციონალური (ფინანსები, კრედიტი, ფულის მიმოქცევა, სტატისტიკა და ა.შ.) თუ დარგობრივი (სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, განათლების ეკონომიკა, ჯანდაცვის ეკონომიკა და ა.შ.) მეცნიერებები. ფუნქციონალური და დარგობრივი მეცნიერებების ფუნდამენტი და მეთოდოლოგიური საფუძველი არის ეკონომიკური თეორია. მას ეფუძნება ყველა დანარჩენი ეკონომიკური მეცნიერებანი.

ეკონომიკური თეორია შეიძლება წარმოვიდგინოთ მუხად, რომლის ტოტებს დანარჩენი ეკონომიკური მეცნიერებანი წარმოადგენენ. მაგრამ XXI საუკუნის I ნახევრის მიწურულს „კეინზიანური რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც უდიდესი ცვლილებები მოხდა დღეს განვითარებულ, მაგრამ იმ დროს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში, ამ მუხაზე გაჩნდა ერთი უდიდესი განშტოება ეკონომიქსის სახით. ახალი ეკონომიკური სისტემის შემსწავლელი საბაზრო ეკონომიკის თეორია, სამეურნეო პრაქტიკით გაჯერებული, ეკონომიკის პრაქტიკაზე ორიენტირებული საბაზრო ორგანიზაციის თეორიაა. XX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ, ეკონომიკური თეორიის კვლევის ეს ახალი სფეროც განვითარდა და ფართოდ მოიკიდა ფეხი მსოფლიოში, როგორც სასწავლო დისციპლინამ. როგორც ცნობილია, „ეკონომიქსის“ პირველი სახელმძღვანელო 1945 წელს გამოვიდა აშშ – ში, რომლის ავტორიც პოლ სამუელსონია.

ასევე, ეკონომიკურ თეორიას გამოეყო კვლევის ისეთი ახალი სფეროები, როგორიცაა საერთაშორისო ეკონომიკა, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და ა.შ. ამასთან, ეკონო-

მიკური თეორია, როგორც ყველა ეკონომიკური მეცნიერების საფუძველთა საფუძველი, არ არის მოქცეული ერთი ეკონომიკური სისტემის (მაგალითად, კაპიტალიზმის) ჩარჩოებში. იგი, ხატოვნად რომ ვთქვათ, საზოგადოების ანატომიას, მისი ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებსა და თავისებურებებს სწავლობს, რომლებსაც ერთ სისტემაში აქცევს. ეკონომიქსი კი არ არის ერთიანი სისტემა, არამედ მხოლოდ ამ სისტემის ნაწილია, რომელიც საბაზრო ეკონომიკის შესწავლაზეა ორიენტირებული.

ინგლისურ ენაში ეკონომიკის როგორც მეურნეობის მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება სიტყვა economy, ხოლო ეკონომიკის როგორც მეცნიერების მნიშვნელობის გადმოსაცემად – სიტყვა economics.

საკონტროლო კითხვები

1. **რა ნაწილებად იყოფა ეკონომიკა როგორც მეურნეობა? დაახასიათეთ თითოეული მათგანი.**
2. **რა სფეროებისა და სექტორებისგან შედგება ეკონომიკა?**
3. **როგორია ეკონომიკის საერთაშორისო კლასიფიკაცია?**
4. **რა კვლევის სფეროებად და დისციპლინებად იყოფა ეკონომიკა როგორც მეცნიერება?**
5. **რას შეისწავლის მიკროეკონომიკა?**
6. **რას შეისწავლის მაკროეკონომიკა?**
7. **რას შეისწავლის მეზოეკონომიკა?**
8. **რას შეისწავლის მეგაეკონომიკა?**
9. **რა ადგილი უჭირავს ეკონომიკურ თეორიას ეკონომიკურ მეცნიერებაში?**
10. **როდის წარმოიშვა „ეკონომიქსი“ და რას შეისწავლის იგი?**

საშინაო დავალება

დაწერეთ თემა:

საქართველოს ეკონომიკის კლასიფიკაცია.*

II ტესტი

(XXIX გაკვეთილი)

1. რომელი ეკონომიკური მიმდინარეობა დაუპირისპირდა მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიას?

ა). კეინზიანელობა;

ბ). ნეოკლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობა;

გ). ინსტიტუციურ–სოციოლოგიური მიმდინარეობა.

2. ვის ეკუთვნის სახელმწიფო რეგულირების თეორია?

ა). კარლ მარქსს;

ბ). ჯონ მეინარდ კეინზს;

გ). მილტონ ფრიდმენს.

3. ვინ იყო ალფრედ მარშალი?

ა). ნეოკლასიკური მიმდინარეობის წარმომადგენელი;

ბ). მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი;

გ). კეინზიანური მიმდინარეობის წარმომადგენელი.

4. ვის ეკუთვნის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია?

ა). მილტონ ფრიდმენს;

ბ). ჯონ მეინარდ კეინზს;

გ). პოლ სამუელსონს;

5. მონეტარიზმი რომელი ეკონომიკური მიმდინარეობის შემადგენელი ნაწილია?

---

* გამოიყენეთ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი კრებულები.

ა). კეინზიანური მიმდინარეობის;
ბ). ნეოკლასიკური მიმდინარეობის;
გ). ნეოკეინზიანური მიმდინარეობის.

6. მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში რომელმა თეორიამ შეცვალა „უხილავი ხელის“ თეორია?
ა). მონეტარისტულმა თეორიამ;
ბ). კეინზიანურმა თეორიამ;
გ). მარქსისტულმა თეორიამ.

7. გაეროს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის მიხედვით (გაეროს სსდკ) ეკონომიკა რამდენ სექტორად იყოფა?
ა). ორ სექტორად;
ბ). სამ სექტორად;
გ). ოთხ სექტორად.

8. რომელ სექტორში შედის განათლება როგორც ეკონომიკის ცალკე დარგი?
ა). ინდუსტრიაში;
ბ). სოფლის მეურნეობაში;
გ). მომსახურების სფეროში.

9. რას უწოდებენ საწარმოს ან დარგის ეკონომიკას?
ა). მაკროეკონომიკას;
ბ). მეგაეკონომიკას;
გ). მიკროეკონომიკას.

10. რომელია მესამეული სექტორი?
ა). მომსახურების სფერო;
ბ). სოფლის მეურნეობა;
გ). ინდუსტრია.

საშინაო დავალება

დაწერეთ თემა:

განვლილი მასალიდან შეადგინეთ შესაბამისი ტესტები.

კროსვორდები

1. კროსვორდის ბოლოს მოცემული კითხვარების მიხედვით შეავსეთ კროსვორდი;

2. შესწავლილი მასალის მიხედვით შეეცადეთ შეადგინოთ მსგავსი კროსვორდები.

I კროსვორდი



1. „ეკონომიქსის“ ავტორი;

2. ეკონომიკის როგორც მეცნიერების მამამთავარი;

3. გვიანდელი მერკანტილიზმის წარმომადგენელი;

4. „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატის“ ავტორი, ცნობილი ფრანგი მერკანტილისტი;

5. სიტყვა „ეკონომიკის“ მეცნიერულ ბრუნვაში პირ-ველად შემომტანი;

6. ფიზიოკრატიზმის მამამთავარი;

7. „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძ-ვლების“ ავტორი;

8. „კაპიტალის“ ავტორი;

9. „კეინზიანური რევოლუციის“ ავტორი;

10. ნეოკლასიკური მიმდინარეობის მათემატიკური სკო-ლის წარმომადგენელი;

11. ნეოკლასიკური მიმდინარეობის კემბრიჯის სკოლის წარმომადგენელი;

12. ნეოკეინზიანელობის წარმომადგენელი;

13. მონეტარიზმის თვალსაჩინო (მთავარი) წარმო-მადგენელი;

14. ნეოკლასიკური მიმდინარეობის ავსტრიული სკო-ლის წარმომადგენელი;

15. პირველი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის ავტორი;

16. მონეტარიზმის ცნობილი წარმომადგენელი.

II კროსვორდი



1. ნეოკლასიკური მიმდინარეობის თვალსაჩინო თანა-მედროვე მიმართულება;

2. პირველი ეკონომიკური მიმდინარეობა;

3. ეკონომიკური მიმდინარეობა, რომლის სამშობლო საფრანგეთია;

4. საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის შემსწავლელი სახელმძღვანელოს სახელწოდება;

5. ინდიკატური დაგეგმვის იდეის შემომტანი ეკონო-მიკაში;

6. ეკონომიკის მამამთავრის – ა. სმითის მოძღვრების მთავარი კრედო.

ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

I. ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ:

1. სამუელსონი; 5. ქსენოფონტი; 6. კენე; 7. რიკარდო; 9. კეინზი; 11. მარშალი; 13. ფრიდმენი; 15. ჯევონსი.

ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ:

2. მერკანტილიზმი; 3. ფიზიოკრატიზმი; 4. ეკონომიქსი; 5. ნეოკეინზიანელობა.

ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ:

1. მონეტარიზმი; 6. ლიბერალიზმი.

II. ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ:

2. სმითი; 3. მენი; 4. მონკრეტიენი; 8. მარქსი; 10. პარეტო; 12. დომარი; 14. მენგერი; 16. ჰაიეკი.

ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ:

გავლილი მასალის გამეორება

(XXX–XXXI გაკვეთილი)

1. როდის და სად წარმოიშვა ეკონომიკა როგორც მეცნიერება?

2. დაასახელეთ პირველი ეკონომიკური მეცნიერება.

3. რა როლი შეასრულა კლასიკურმა ეკონომიკურმა მიმდინარეობამ (კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ) ეკონომიკურ მეცნიერებაში?

4. ვის ეკუთვნის ეს თეზა: „შრომა მამაა სიმდიდრის, მიწა – დედაა მისი.“

5. რატომ უწოდებენ უილიამ პეტს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მამას?

6. რატომ იყო კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ლიბერალური თეორია?

7. რა პერიოდში ედო საფუძვლად კლასიკურ–ლიბერალური თეორია მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას?

8. რატომ უწოდებენ ადამ სმითს „ეკონომიკის როგორც მეცნიერების მამამთავარს“?

9. ვინ იყო დავით რიკარდო? დაასახელეთ მისი ცნობილი ნაშრომი.

10. რომელმა ცნობილმა ქართველმა ეკონომისტმა თარგმნა დავით რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ ქართულად?

11. რაში მდგომარეობს მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის არსი?

12. რომელი ეკონომიკური თეორია დაედო საფუძ-ვლად მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას XX საუკუნის 30-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ?

13. რაში მდგომარეობს „კეინზიანური რევოლუციის“ არსი?

14. „კეინზიანურმა რევოლუციამ“ რა როლი შეასრუ-ლა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში?

15. რა პერიოდამდე ედო საფუძვლად კეინზიანური თეორია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლი-ტიკას და რით შეიცვალა იგი?

16. როდის წარმოიშვა ნეოკლასიკური მიმდინარეობა და რომელი ცნობილი მეცნიერები იდგნენ მის სათავეებთან?

17. რა გავლენა მოახდინა კეინზიანელობამ ნეოკლა-სიკურ მიმდინარეობაზე?

18. რატომ არის მონეტარიზმი კეინზიანელობის სა-პირისპირო მიმდინარეობა?

19. ჩამოაყალიბეთ მონეტარიზმის ძირითადი პრინციპები.

20. რატომ უწოდებენ მონეტარიზმს „ფრიდმენის ან-ტიკეინზიანურ რევოლუციას“?

21. რომელი ეკონომიკური მიმდინარეობა აღმოცენდა XX საუკუნის 50-იან წლებში კეინზიანელობის საფუძ-ველზე?

22. რას გულისხმობს ნეოკლასიკური სინთეზი და რა ადგილი უკავია მას ამჟამად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში?

23. დააახასიათეთ ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმ-

დინარეობა.

24. განასხვავეთ ეკონომიკის როგორც მეურნეობის კლასიფიკაცია, ეკონომიკის როგორც მეცნიერების კლასიფიკაციისაგან.

25. როდის შეიქმნა „ეკონომიქსის“ პირველი სახელმძღვანელო და რას შეისწავლის იგი?

26. რა ადგილი უჭირავს ეკონომიკურ თეორიას ეკონომიკურ მეცნიერებაში?

27. განსაზღვრეთ ეკონომიკური თეორიის როლი ეკონომიკურ პოლიტიკაში.

28. ჩამოაყალიბეთ ძირითადი ეკონომიკური მიმდინარეობები.

29. თქვენი აზრით, რომელ ეკონომიკურ თეორიას ეყრდნობა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა?

30 რა დამატებითი კითხვა დაგებადათ გავლილ მასალასთან დაკავშირებით?

სასწავლო თემატიკა და საათების განაწილება თემების მიხედვით

№	თემების დასახელება	საათების რაოდ.
	I სემესტრი	
1.	გავლილი მასალიდან შეამოწმეთ თქვენი ცოდნა	**2**
2.	ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობის წანამძღვრები	**3**
	ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობის წინა პერიოდი	1
	მერკანტილიზმი – პირველი ეკონომიკური მიმდინარეობა	1
	ფიზიოკრატიზმი	1
3.	გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტთა მოკლე ბიოგრაფიები	**2**
	ანტუან მონკრეტიენი – მერკანტილიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი	1
	ფრანსუა კენე – ფიზიოკრატიზმის მამამთავარი	1
4.	ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობა	**4**
	ეკონომიკური თეორია – უპირველესი ეკონომიკური მეცნიერება	1
	უილიამ პეტი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სათავეებთან	1
	კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის (კლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობის) აღმოცენება	1
	კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განვითარება	1
5.	გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტთა მოკლე ბიოგრაფიები	**3**
	უილიამ პეტი – კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მამა	1
	ადამ სმითი – ეკონომიკის როგორც მეცნიერების მამამთავარი	1
	დავით რიკარდო – ადამ სმითის მოძღვრების განმავითარებელი	1
6.	გავლილი მასალის გამეორება, I ტესტი	**1**
	სულ I სემესტრში	15

№	**თემების დასახელება**	**საათების რაოდ.**
	II სემესტრი	
7.	თანამედროვე ძირითადი ეკონომიკური მიმდინარეობები	**7**
	მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია	1
	კეინზიანელობა და კეინზიანული რევოლუცია	1
	ნეოკლასიკური მიმდინარეობა	1
	მონეტარიზმი	1
	ნეოკეინზიანელობა	1
	ნეოკლასიკური სინთეზი	1
	ინსტიტუციურ–სოციოლოგიური მიმდინარეობა	1
8.	გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტთა მოკლე ბიოგრაფიები	**4**
	კარლ მარქსი – გამოჩენილი გერმანელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი, იურისტი, სოციოლოგი, პოლიტოლოგი	1
	პოლ სამუელსონი – „ეკონომიქსის“ პირველი ავტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი	1
	ჯონ მეინარდ კეინზი – „კეინზიანური რევოლუციის“ ავტორი	1
	მილტონ ფრიდმენი – მონეტარიზმის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი	1
9.	ეკონომიკის კლასიფიკაცია	**2**
	ეკონომიკის როგორც მეურნეობის კლასიფიკაცია	1
	ეკონომიკის როგორც მეცნიერების კლასიფიკაცია	1
10.	II ტესტი, კროსვორდები	**2**
11.	გავლილი მასალის გამეორება	**2**
	სულ II სემესტრში	16
	სულ VII კლასში	32

სასწავლო კურსის
პროგრამა

I თ ა ვ ი. ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობის წანამძღვრები

ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობის წინა პერიოდი. პრიმიტიული წარმოდგენები ეკონომიკაზე. ეკონომიკური მეცნიერების საწყისების შექმნა.

მერკანტილიზმი – პირველი ეკონომიკური მიმდინარეობა. ადრინდელი და გვიანდელი მერკანტილიზმი. მერკანტილიზმის როლი ეკონომიკის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებაში. ანტუან მონკრეტიენი – მერკანტილიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ფიზიოკრატიზმი და საფრანგეთის ფიზიოკრატული სკოლა. ფიზიოკრატიზმის როლი ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობაში. ფრანსუა კენე – ფიზიოკრატიზმის მამამთავარი.

II თ ა ვ ი. ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობა

ეკონომიკური თეორია – უპირველესი ეკონომიკური მეცნიერება.

უილიამ პეტი – კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მამა. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის აღმოცენება ინგლისში. ადამ სმითი – ეკონომიკის როგორც მეცნიერების მამამთავარი. ადამ სმითი და „უხილავი ხელის“ თეორია. ადამ სმითი – კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის (კლასიკურ–ლიბერალური ეკონომიკური მიმდინარეობის) ფუძემდებელი.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განვითარება. დავით რიკარდო – ადამ სმითის მოძღვრების განმავითარებელი. კლასიკურ–ლიბერალური ეკონომიკური თეორიის როლი მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში XVIII საუკუნის 70–იანი წლებიდან XX საუკუნის 30–იან წლებამდე.

III თ ა ვ ი. თანამედროვე ძირითადი ეკონომიკური მიმდინარეობები

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია. კეინზიანელობის წარმოშობის წინა პირობები. ჯონ მეინარდ კეინზის სახელმწიფო რეგულირების თეორია. „კეინზიანური რევოლუციის“ არსი.

კეინზიანელობის როლი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ნეოკლასიკური მიმდინარეობა – მარქსისტულ პოლიტიკური ეკონომიის ანტიპოდი. 1974–1975 წლების ეკონომიკური კრიზისი და ნეოკლასიკური მიმდინარეობის „რენესანსი“. კეინზიანელობის გავლენა ნეკლასიკურ მიმდინარეობაზე.

მონეტარიზმი – ნეოკლასიკური მიმდინარეობის ერთ–ერთი ძირითადი მიმართულება. მონეტარიზმის ძირითადი პრინციპები. „ფრიდმენის ანტიკეინზიანური რევოლუცია“.

ნეოკეინზიანელების არსი და თავისებურებები. ნეოკეინზიანელობა და ნეოკლასიკური მიმდინარეობა – ორი ურთიერთსაპირისპირო თეორია.

ნეოკლასიკური სინთეზი და მისი როლი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ინსტიტუციურ–სოციოლოგიური მიმდინარეობის წარმოშობა და განვითარება.

IV თ ა ვ ი. ეკონომიკის კლასიფიკაცია

ეკონომიკის როგორც მეურნეობის კლასიფიკაცია. გაეროს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის მესამე ვარიანტის სტრუქტურა.

ეკონომიკის როგორც მეცნიერების კლასიფიკაცია. თეორიული და კონკრეტული ეკონომიკური დისციპლინები. ეკონომიკური თეორია და „ეკონომიქსი“.

ა

აბსოლუტური უპირატესობის თეორია (theory of absolute advantage) – თეორია, რომლის მიხედვითაც ქვეყანას, რომელსაც აქვს ბუნებრივი (ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები) ან შეძენილი (მოწინავე ტექნოლოგია, კვალიფიციური სამუშაო ძალა და ა.შ.) უპირატესობები, შეუძლია უფრო ეფექტიანად აწარმოოს ესა თუ ის საქონელი. საგარეო ვაჭრობა კი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თითოეული ქვეყანა დასპეციალდეს იმ საქონლის წარმოებაში, რომლისთვისაც მას აქვს ეს უპირატესობები. მაგალითად, საქართველოს, ბუნებრივი უპირატესობებიდან გამომდინარე, გაცილებით ეფექტიანად შეუძლია აწარმოოს ჩაი, ვიდრე რუსეთსა და ბევრ სხვა ქვეყანას; უზბეკეთს შეუძლია უფრო ეთექტიანად აწარმოოს ბამბა, ვიდრე უკრაინას; იაპონიას, შეძენილი უპირატესობის საფუძველზე, იმის გამო, რომ აქვს მოწინავე ტექნოლოგია, ჰყავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შეუძლია უფრო იაფად აწარმოოს, ვთქვათ, მოტორიზებული გადაზიდვის საშუალებები, ვიდრე სხვა ქვეყანას.

აბსოლიტური უპირატესობის თეორია პირველად დაამუშავა ა. სმითმა ნაშრომში: „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“.

ბ

ბალანსი (balance sheet) – ფულადი ფორმით გამოხატული ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ მოვლენას მისი მხარეების შედარების გზით. ბალანსი აქტიურია, თუ შემოსავლები სჭარბობს ხარჯებს, ხოლო პასიური თუ შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია. მა-

* ლექსიკონში შეტანილია ამ წიგნში გამოყენებული ტერმინებისა და ცნებების განმარტებები.

გალითად, აქტიურია სავაჭრო ბალანსი თუ ეხპორტი აღემატება იმპორტს, ხოლო პასიური – თუ იმპორტი აღემატება ეხპორტს.

გ

გადახდისუნარიანი მოთხოვნილება (effective consumer demand) – ფულით უზრუნველყოფილი მოთხოვნილება (ანუ მოთხოვნა) საქონელსა და მომსახურებაზე.

ე

ეკონომიკური პოლიტიკა (economic policy) – ღონისძიებათა სისტემა ეკონომიკის მართვის სფეროში, გატარებული ხელსუფლების მიერ. იგი მოიცავს ფულად–საკრედიტო, საბიუჯეტო–საგადასახადო, ფისკალურ, სოციალურ, სტრუქტურულ, საინვესტიციო, მეცნიერულ–ტექნოლოგიურ, საგარეო–ეკონომიკურ პოლიტიკას.

ეკონომიქსი (economics) – ეკონომიკური თეორიის კვლევის ახალი სფერო, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების კვალდაკვალ. იგი, როგორც სასწავლო დისციპლინა, ფართოდ გავრცელდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან და შეისწავლის საბაზრო ეკონომიკაში საზოგადოება თავის სასრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით რა გზებით წყვეტს შეზღუდული რესურსებით რა, როგორ და ვისთვის აწარმოოს. იგი პრაქტიკით გაჯერებული თეორიაა, საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზია.

ეფექტიანობა (efficiency) – რესურსების გამოყენების შეფასების კრიტერიუმი. გამოითვლება რესურსების გამოყენებით მიღებული შედეგიანობის შეფარდებით წარმოების დანახარჯებთან.

ზ

ზღვრული სარგებლიანობა (marginal utility) – დამატებითი სარგებლიანობა, მიღებული ნებისმიერი დოვლათის დამატებითი ერთეულიდან. მათემატიკურად გამოისახება ფორმულით:

$$MU = \frac{\Delta U}{\Delta X}$$

სადაც U სარგებლიანობაა, X საქონლის რაოდენობა, D – ცვლილება. ზღვრული სარგებლიანობის კატეგორია წინა პლანზე წამოსწია და მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა ცნობილმა ეკონომიკურმა მიმდინარეობამ – მარჟინალიზმა.

ზღვრული სარგებლიანობის თეორია (marginal revenue theory) – შრომითი ღირებულების თეორიისაგან განსხვავებით, ფასწარმოქმნის საფუძვლად აღიარებს არა ღირებულებას, არამედ ნივთის სუბიექტურ შეფასებას, სარგებლიანობას. ამ თეორიის წარმომადგენლებია: გოსენი, კლარკი, ჯევონსი, ვალრასი, მენგერი, ვიზერი, ბემბავერკი, სიჩელი და ა.შ.

ი

ინდიკატური დაგეგმვა (indicative planning) – ეროვნული ეკონომიკის საორიენტაციო დაგეგმვა სახელმწიფო დონეზე, რომელიც არ ზღუდავს კერძო კაპიტალის უფლებებს. მასში განსაზღვრულია ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების სისტემა და მათი რეალიზაციის გზები.

ინსტიტუციურ–სოციოლოგიური მიმდინარეობა (institutional and sociological trend) – წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს და ჩამოყალიბდა XX საუკუნის 20–30–იან წლებში. მისი წარმომადგენლები გ. როშერი, გ. შმოლერი, ვ. ზომბარტი, უ. ჰელბრეიტი და ა.შ., წინა პლანზე აყენებენ მეცნიერულ–ტექნოლოგიურ პროგრესს და მას მიიჩნევენ საზოგადოებრივი წინააღმდეგობების ლიკვიდაციისა და უკონფლიქტო საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძვლად. ამ მიმდინარეობის საფუძველზე წარმოიშვა ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიები.

კ

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია (classical political economy) – ლიბერალური ეკონომიკური მიმდინა-

რეობა, რომელიც აღმოცენდა XVIII საუკუნის 70–იან წლებში და XX საუკუნის 30–იან წლებამდე საფუძვლად ედო კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას. მისი ფუძემდებლები არიან ინგლისელი მეცნიერები ადამ სმითი და დავიდ რიკარდო, თუმცა კლასიკური პოლიტიკური ეკონომია სათავეს იღებს უილიამ პეტის შეხედულებებიდან. მის აღმოცენებას დიდად შეუწყვეს ხელი ინგლისელმა ფილოსოფოსებმა ჯონ ლოკმა და დავიდ იუმმა, აგრეთვე ეკონომისტებმა დელეი ნორსმა, ჟან ბატისტ სეიმ და ა.შ.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის აღმოცენებით იწყება ეკონომიკური თეორიის როგორც მეცნიერების ისტორია და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკის როგორც მეცნიერების ისტორიაც, ვინაიდან პირველი ეკონომიკური მეცნიერება სწორედ ეკონომიკური თეორიაა, რომელსაც იმ პერიოდში პოლიტიკური ეკონომია ეწოდებოდა.

ეკონომიკური თეორიის ამ ფუძემდებლურმა მიმართულებამ წამოაყენა ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და თავისუფალი ფასების საბაზრო თვითრეგულირების იდეა, რომლის განხორციელების გზებს ამ ქმედებაში ხედავდა. ეს იდეა ეყრდნობა ა. სმითის „უხილავი ხელის“ თეორიას.

კეინზეანელობა (Keynesianism) – ერთ ერთი ძირითადი ეკონომიკური მიმდინარეობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა და რომლის თეორიაც ძირითადად აისახა მის ცნობილ ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936 წ.). კეინზეანელობა წარმოიშვა როგორც რეაქცია 1929–1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე. კეინზმა თავისი არგუმენტები დაუპირისპირა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის არგუმენტებს და თავისი თეორია ეკონომიკის კრიზისული პროცესების ანალიზს მიუძღვნა. ეკონომიკურ მეცნიერებაში მან პირველმა გამოთქვა აზრი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების

თაობაზე. კეინზის ვარაუდით სახელმწიფო, ხარჯების გაზრდით, ან გადასახადების შემცირებით, ან ორივე ამ ღონისძიების შერწყმით შეძლებდა გადახდისუნარიანი მოთხოვნილების (ანუ მოთხოვნის) ამაღლებას, ამით გამოაცოცხლებდა ბაზარს, გააფართოებდა წარმოებას და ეკონომიკას დაუბრუნებდა სრულ დასაქმებას.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიის პრაქტიკაში დამკვიდრებით, კეინზიანელობამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და საბაზრო ეკონომიკის, როგორც ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირებაში. აქედან მოყოლებული კერძო კაპიტალისტური საკუთრების ბატონობაზე დაფუძნებული კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა გადაიზარდა საბაზრო სისტემაში. სწორედ ამაში გამოიხატება „კეინზიანური რევოლუციის“ არსი.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ვიდრე 70–იანი წლების შუა ხანებამდე, წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში წარმატებით გამოიყენებოდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მოდელი, ხოლო 1974–1975 წლების კრიზისის გავლენით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა „სახელმწიფო მინიმუმის“ კლასიკური თეორიის აღორძინებისათვის. კეინზიანელობამ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში ადგილი ნეოკლასიკურ ეკონომიკურ მიმდინარეობას დაუთმო.

ლ

ლიბერალიზაცია (liberalization) – ეკონომიკის გათავისუფლება მბრძანებლურ–ადმინისტრაციული მმართველობიდან და მისი მართვა „უხილავი ხელით“, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს: ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნას, თავისუფალი ფასწარმოქმნის დამკვიდრებას, მეწარმეობისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას.

ფასების ლიბერალიზაციას უწოდებენ ფასების გათავისუფლებას სახელმწიფო „მარ-

წუხებიდან“ და მათ თავისუფალ საბაზრო ფასებზე გადასვლას.

მ

მერკანტილიზი (mercantilism) – ეკონომიკური მიმდინარეობა, რომელიც გამოხატავდა სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესებს XV–XVII საუკუნეებში. ამ თეორიის განმსაზღვრელი პრინციპი ასეთი იყო: მოგება წარმოიქმნება მიმოქცევის სფეროში. განასხვავებენ ადრინდელ და გვიანდელ მერკანტილიზმს.

ადრინდელი მერკანტილიზმი აღმოცენდა XV საუკუნის უკანასკნელ მესამედში და არსებობდა XVI საუკუნის შუა პერიოდამდე. მის წარმომადგენლებს (უ. სტაფორდი, გ. კარუფი, დე სანტისი და ა.შ.) ქვეყნის სიმდიდრის ზრდის გადამწყვეტ პირობად აქტიური ფულადი ბალანსი და, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ფულის თავმოყრა მიაჩნდათ. ამიტომ ისინი მოითხოვდნენ საზღვარგარეთ ფულის გატანის აკრძალვას და მთავრობას ურჩევდნენ უცხოელი ვაჭრები აეძულებინათ ნავაჭრი თანხა იმავე ქვეყანაში დაეხარჯათ.

გვიანდელი მერკანტილიზმი განვითარდა XVI საუკუნის შუა პერიოდიდან, აყვავებას მიაღწია XVII საუკუნეში, დაშლა კი დაიწყო XVIII საუკუნიდან. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიცვალა ფიზიოკრატიზმით. მის წარმომადგენლებს (ა. მონკრეტიენი, დ. იუმი, თ. მენი, ა. სერა და ა.შ.) სიმდიდრის ზრდის გადამწყვეტ პირობად აქტიური სავაჭრო ბალანსი და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის გამდიდრების ერთადერთ გზად საზღვარგარეთ რაც შეიძლება მეტი საქონლის გატანა მიაჩნდათ.

იმის გამო, რომ მერკანტილიზმმა კვლევის სფერო მხოლოდ მიმოქცევის სფეროთი შემოფარგლა და ვერ შეძლო ეკონომიკური მოვლენების მეცნიერული ანალიზი, მისი როლი შემოიფარგლა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკის როგორც მეცნიერების წანამძღვრების შექმნით.

მონეტარიზმი (monetarism) – ნეოკლასიკური მიმდინარეობის ერთ–ერთი ძირითადი მაკროეკონომიკური თეორია, რომელიც დაუპირისპირდა კეინზეანელობას და იცავს დებულებას ეკონომიკის თვითრეგულირების შესახებ. მისი წარმომადგენლები (მ. ფრიდმენი, ფ. ჰაიეკი, ფ. კეიგანი და ა.შ.), კეინზისაგან განსხვავებით, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩართვის წინააღმდეგი არიან. მათი აზრით, ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის საკმარისია სახელმწიფომ გაატაროს აქტიური ფულადი პოლიტიკა, აქედან გამომდინარე, გამოიყენოს მაკროეკონომიკური რეგულირების ფულად–საკრედიტო ბერკეტები და უარი თქვას საბიუჯეტო–საგადასახადო ბერკეტებზე.

მაკროეკონომიკა (macroekonomics) – 1. ქვეყნის მთლიანი მეურნეობა, რომელიც გამოხატავს ეკონომიკის ზოგად მდგომარეობას; 2. ეკონომიკური თეორიის განყოფილება ეკონომიკის, როგორც ერთიანი მთლიანის, წარმართვის შესახებ. იგი სწავლობს ინფლაციის, უმუშევრობის, ეკონომიკური ზრდისა და სხვა მსხვილმასშტაბიან პრობლემებს.

მეგაეკონომიკა (megaeconomics) – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და მათი შემსწავლელი საერთაშორისო ეკონომიკა, რომელიც იკვლევს საერთაშორისო მასშტაბის ისეთ გლობალურ პრობლემებს, როგორიცაა საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები, საერთაშორისო კრედიტი და ა.შ.

მეზოეკონომიკა (mesoeconomics) – 1. ქვეყნის ქვესისტემების (ინფრასტრუქტურის, სათბობ–ენერგეტიკული, მომსახურების სფეროს და ა.შ.) ეკონომიკა; 2. შეისწავლის ეკონომიკის ქვესისტემებს სექტორული ეკონომიკის სახით.

მიკროეკონომიკა (microekonomics) – 1. ეროვნული მეურნეობის ნაწილის (საწარმოს, დარგის) ეკონომიკა; 2. ეკონომიკური თეორიის განყოფილება, რომელიც სწავლობს ცალკეული სამეურნეო ერთეულების (საოჯახო მეურნეობების, ფირ-

მების, სამთავრობო დაწესებულებების) საქმიანობას.

მიწის რენტა (ground rent) – მიწის მესაკუთრის შემოსავალი, მიღებული სხვაზე გაცემული მიწის გამოყენებით შექმნილი მოგებიდან. იგი მიწის მესაკუთრის წარმოებრივ საქმიანობასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული.

მარჟინალიზმი (marginalism) – ცნობილი ეკონომიკური თეორია, რომლის ძირითადი პრინციპები ფართოდ გამოიყენება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ მიმდინარეობაში. იგი უპირისპირდება შრომითი ღირებულების თეორიას და საქონლის ფასს განსაზღვრავს იმ სასარგებლო ეფექტით, რომელიც მას მოაქვს მომხმარებლისათვის. მარჟინალიზმმა ფართო განვითარება პოვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჰ. კლარკის, ი. ფიშერის, ა. მარშალის, ვ. პარეტოს, დ. ვალრასის, კ. ვიქსელისა და ა.შ. ნაშრომებში.

ნ

ნეოკეინზიანელობა (neokeynesianism) – ეკონომიკური თეორიის ერთ ერთი ძირითადი მიმართულება, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე თეორია, რომელიც აღმოცენდა XX საუკუნის 50–იან წლებში კეინზიანელობის საფუძველზე. ნეოკეინზიანელებმა (დომარი, კალდორი, რობინსონი, და ა.შ.) კეინზის თეორიაზე დაყრდნობით შექმნეს ახალი კონცეფცია. ისინი ასაბუთებენ გრძელვადიანი დაგეგმვისა და სახელმწიფოს საქმიანობის ცენტრალიზებული კოორდინაციის აუცილებლობას. მათ შემოიღეს ინდიკატური დაგეგმვა, როგორც ეკონომიკის საორიენტაციო დაგეგმვა.

ნეოკეინზიანელობა დაუპირისპირდა ნეოკლასიკურ მიმდინარეობას და მისგან განსხვავებით ეკონომიკის სტაბილიზაციაში უპირატესობას არა ფულად–საკრედიტო, არამედ საბიუჯეტო–საგადასახადო რეგულირების ინსტრუმენტებს ანიჭებს.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია (neoclassic economic theory) – ერთ–ერთი ძირითადი ეკონომიკური მიმდი-

ნარეობა, რომლის სათავეებთან იდგნენ კ. მენგერი, ა. ვიზერი, ე. ბემ–ბავერკი, უ. ჯევონსი, ვ. პარეტო, ჯ. კლარკი. ნეოკლასიკურმა მიმდინარეობამ დასრულებული სახე ა. მარშალის (კემბრიჯის სკოლა) ნაშრომებში მიიღო. მისი თანამედროვე წარმომადგენლები არიან ჯ. ჰიკსი, ჯ. მილი, რ. სოლოუ, მ. ბრაუნი, მ. ფრიდმენი და ა.შ. იგი წარმოიშვა, უპირველეს ყოვლისა, შრომითი ღირებულების თეორიის კრიტიკული გადასინჯვის საფუძველზე. მათ დასაბამი მისცეს ზღვრული სარგებლიანობის თეორიას, რომელშიც ფასის ერთადერთ საფუძვლად ზღვრული სარგებლიანობა არის მიჩნეული. ნეოკლასიკურ თეორიას სერიოზული დარტყმა მიაყენა კეინზიანელობის წარმოშობამ. კეინზიანელების კრიტიკის გავლენით ნეოკლასიკური მიმართულების მიმდევრებმა გადასინჯეს ზოგიერთი ძველი კონცეფცია და ნაწილობრივ შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ. ისინი აღიარებენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას, მაგრამ კეინზიანელებისგან განსხვავებით, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას შემოფარგლავენ მხოლოდ რეგულირების ფულად–საკრედიტო ფორმებით.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის რეგულირების კეინზიანური მეთოდების წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავედ ილაშქრებს ნეოკლასიკური მიმდინარეობის ერთ–ერთი ყველაზე გავლენიანი ნაირსახეობა – მონეტარიზმი და მისი მთავარი წარმომადგენელი მილტონ ფრიდმენი. ეს მიმართულება დასავლეთში „ანტიკეინზიანური რევოლუციის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ნეოკლასიკური სინთეზი (neoclassical synthesys) – კეინზიანური და ნეოკლასიკური თეორიების სინთეზი, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური მიდგომები სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში.

თანამედროვე პირობებში ნეოკლასიკური სინთეზი საფუძვლად უდევს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას.

ს

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (international economic relations) – სხვადასხვა ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობები საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების, საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობებისა და ა.შ.

საგარეო ვაჭრობა (foreign trade) – ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან, ანუ საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი.

სპეციალიზაცია (specialization) – საქმიანობის კონცენტრაცია წარმოების იმ დარგებში, რომლებშიც მათ აქვთ აბსოლუტური ან შეფარდებითი უპირატესობები. სპეციალიზაცია ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობის განვითარებას და განაპირობებს გაცილებით მაღალ ცხოვრების დონეს იმ დონესთან შედარებით, რომელიც მიიღწევა ქვეყნის თვითუზრუნველყოფის პირობებში.

რ

რენტა (rent) – შემოსავალი, რომელსაც ღებულობს მესაკუთრე მიწის, კაპიტალის, შენობა–ნაგებობების, მანქანა–დანადგარების ან სხვა ქონების გამოყენებიდან მის მიერ სამეწარმეო საქმიანობის, დამატებითი დანახარჯების განხორციელების გარეშე. ასეთი შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნეს, მაგალითად, მიწის არენდით გადაცემის საფუძველზე და ა.შ.

ფ

ფასწარმოქმნა (price formation) – საქონლისა და მომსახურების ფასების ჩამოყალიბების პროცესი. განასხვავებენ საბაზრო ფასწარმოქმნასა და სახელმწიფო (ცენტრალიზებულ) ფასწარმოქმნას. საბაზრო ფასწარმოქმნა ხორციელდება მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების საფუძველზე, ხოლო სახელმწიფო ფასწარმოქმნა – სახელმწიფო ორგანოების მიერ ფასების დაწესების

საფუძველზე.

ფიზიოკრატიზმი (phisiocratism) – ეკონომიკური მიმდინარეობა, რომელმაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან-შეცვალა მერკანტილიზმი. ფიზიოკრატიზმის სამშობლოდ საფრანგეთია აღიარებული. ფიზიოკრატები(ფ. კენე, ა. ტიურგო, ვ. მირაბო, გ. ლეტრონი, პ. დიუპონ დე ნემური და ა.შ.) სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ სოფლის მეურნეობას, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარებას მიიჩნევდნენ. ამით მათ კვლევის სფერო მიმოქცევიდან წარმოებაში გადმოიტანეს, რითაც უდიდესი როლი შეასრულეს ეკონომიკის როგორც მეცნიერების წანამძღვრების შექმნაში. ფიზიოკრატების დიდი შეცდომა გამოიხატებოდა იმაში, რომ წარმოების სფერო და, აქედან გამომდინარე, კვლევის სფეროც მხოლოდ სოფლის მეურნეობით შემოფარგლეს. XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში ფიზიოკრატიზმი შეცვალა ახალმა ეკონომიკურმა მიმდინარეობამ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სახით.

შ

შრომის საერთაშორისო დანაწილება (internationa division of labor) – ცალკეული ქვეყნების სპეციალიზაცია გარკვეული სახეობის იმ საქონლის ან მომსახურების წარმოებაზე, რომელთა დამზადებისთვისაც თითოეულ მათგანს უკეთესი პირობები (ბუნებრივი ან შეძენილი) აქვს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ანუ მოცემულ ქვეყანას აქვს აბსოლუტური უპირატესობა ამა თუ იმ საქონლის წარმოებისათვის. შრომის საერთაშორისო დანაწილება გულისხმობს ქვეყნების მოთხოვნის დაკმაყოფილებას არა მხოლოდ საკუთარი წარმოებით, არამედ საგარეო ვაჭრობის საშუალებითაც.

შეფარდებითი უპირატესობის თეორია (theory of comparative advantage) – თეორია, რომლის მიხედვითაც თუ ამა თუ იმ ქვეყანაში მოცემული საქონლის წარმოების ხარჯები და, აქედან გა-

მომდინარე, ღირებულება გაცილებით დაბალია, ვიდრე ანალოგიური საქონლისა სხვა ქვეყნებში, მაშინ ამ ქვეყანას აქვს შეფარდებითი უპირატესობა სხვებთან შედარებით და შეუძლია დასპეციალდეს ამ საქონლის წარმოებაზე. ამ შემთხვევაში მოგებულია როგორც ეს ქვეყანა, ისე მთელი საზოგადოება, რადგან იქმნება ერთი და იმავე რაოდენობის რესურსების ხარჯვით მეტი საქონლის წარმოების შესაძლებლობა. შეფარდებითი უპირატესობა ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობისა და მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას.

ეს თეორია ახსნა დავიდ რიკარდომ ა. სმითის აბსოლუტური უპირატესობის თეორიის განვითარების საფუძველზე.

შრომითი ღირებულების თეორია (theory of labour value) – თეორია, რომლის მიხედვით ფასწარმოქმნას საფუძვლად უდევს საქონლის წარმოებაზე დახარჯული ანუ საქონელში განივთებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობა (შრომის ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია წარმოების ნორმალურ პირობებში საქონლის დასამზადებლად), ე.ი. მისი ღირებულება. ღირებულების მიხედვით ორი სხვადასხვა საქონლის ტოლობა ნიშნავს იმას, რომ მათში ერთი და იგივე რაოდენობის შრომაა განივთებული.

შრომითი ღირებულების თეორია ეკუთვნის კლასიკურ ეკონომიკურ მიმდინარეობას. მის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დ. რიკარდოს, აგრეთვე კ. მარქსს.

ღ

ღირებულება (cost) – 1. ეკონომიკური ფასეულობის ერთ–ერთი ფორმა, რომელიც საქონლის ფასში აისახება; 2. შრომითი ღირებულების თეორიის მიხედვით, საქონელში განივთებული საზოგადოებრივი შრომა.

ცხ

ცხოვრების დონე (standard of life) – მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც გამოხატავს საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე მოსახლეო-

ბის ერთ სულზე მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონესა და ხარისხს.

ცხოვრების დონის ამსახველი აჩვენებლებია: რეალური შემოსავლის მოცულობა; სამომხმარებლო საქონლის ფასების დონე და დინამიკა; კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურების ტარიფები; განათლების დასამედიცინო მომსახურების დონე; საბინაო პირობები; სამუშაო დღის ხანგრძლივობა; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ა.შ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 3

I თ ა ვ ი . ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობის წანამძღვრები 8

II თ ა ვ ი . ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობა 18

III თ ა ვ ი . თანამედროვე ძირითადი ეკონომიკური მიმდინარეობები 30

IV თ ა ვ ი . ეკონომიკის კლასიფიკაცია 47

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3

გავლილი მასალიდან შეამოწმეთ თქვენი ცოდნა (I–II გაკვეთილი) 5

I თ ა ვ ი . ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობის წანამძღვრები (III–IV–V გაკვეთილი) 8

ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობის წინა პერიოდი **(III გაკვეთილი)** 8

მერკანტილიზმი – პირველი ეკონომიკური მიმდინარეობა **(IV გაკვეთილი)** 10

ფიზიოკრატიზმი **(V გაკვეთილი)** 13

გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტთა მოკლე ბიოგრაფიები (VI–VII გაკვეთილი) 15

ანტუან მონკრეტიენი – მერკანტილიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი **(VI გაკვეთილი)** 15

ფრანსუა კენე – ფიზიოკრატიზმის მამამთავარი **(VII გაკვეთილი)** 16

საკონტროლო კითხვები 16

II თ ა ვ ი. ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობა (VIII–IX–XX–XI გაკვეთილი) 18

ეკონომიკური თეორია – პირველი ეკონომიკური მეცნიერება **(VIII გაკვეთილი)** 18

უილიამ პეტი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სათავეებთან **(IX გაკვეთილი)** 18

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის (კლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობის) აღმოცენება **(X გაკვეთილი)** 19

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განვითარება **(XI გაკვეთილი)** 22

გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტთა მოკლე ბიოგრაფიები (XII-XIII-XIV გაკვეთილი) 23

უილიამ პეტი – კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მამა **(XII გაკვეთილი)**. 23

ადამ სმითი – ეკონომიკის როგორც მეცნიერების მამამთავარი **(XIII გაკვეთილი)** 24

დავით რიკარდო – სმითის მოძღვრების განმავითარებელი **(XIV გაკვეთილი)** 24

საკონტროლო კითხვები 25

გავლილი მასალის გამეორება, (XV გაკვეთილი) 26

I ტესტი 27

III თ ა ვ ი. თანამედროვე ძირითადი ეკონომიკური მიმდინარეობები (XVI-XVII-XIII-XIX-XX-XXI-XXII გაკვეთილი) 30

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია **(XVI გაკვეთილი)** 30

კეინზიანელობა და „კეინზიანური რევოლუცია“ **(XVII გაკვეთილი)** 33

ნეოკლასიკური მიმდინარეობა **(XVIII გაკვეთილი)** 36

მონეტარიზმი **(XIX გაკვეთილი)** 38

ნეოკეინზიანელობა **(XX გაკვეთილი)** 39

ნეოკლასიკური სინთეზი **(XXI გაკვეთილი)** 40

ინსტიტუციურ–სოციოლოგიური მიმდინარეობა **(XXII გაკვეთილი)** 40

გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტთა მოკლე ბიოგრაფიები (XXIII–XXVI გაკვეთილი) 41

კარლ მარქსი – გერმანელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი, იურისტი, სოციოლოგი, პოლიტოლოგი **(XXIII გაკვეთილი)** 41

პოლ სამუელსონი – „ეკონომიქსის“ პირველი ავტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი **(XXIV გაკვეთილი)** . . 42

ჯონ მეინარდ კეინზი – „კეინზიანური რევოლუციის“ ავტორი **(XXV გაკვეთილი)** 43

მილტონ ფრიდმენი – მონეტარიზმის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი **(XXVI გაკვეთილი)** . . 44

საკონტროლო კითხვები 44

IV თ ა ვ ი. ეკონომიკის კლასიფიკაცია (XXVII–XVIII გაკვეთილი) 48

ეკონომიკის როგორც მეურნეობის კლასიფიკაცია **(XXVII გაკვეთილი)** 48

ეკონომიკის როგორც მეცნიერების კლასიფიკაცია **(XXVIII გაკვეთილი)** 50

საკონტროლო კითხვები 52

II ტესტი (XXIX გაკვეთილი) 53

პროსვორდები 55

კროსვორდის პასუხები 58

გავლილი მასალის გამეორება (XXX–XXXI გაკვეთილი) 59

სასწავლო თემატიკა და საათების განაწილება თემების მიხედვით 62

სასწავლო კურსის პროგრამა 64

ეკონომიკური ლექსიკონი 67

სარჩევი 80

გამომცემლობის რედაქტორი **ც. ნიკოლაიშვილი**
მხატვარი **ა. ბუაძე**
ტექნიკური რედაქტორი **რ. ასათიანი**
კომპიუტერზე დამკაბადონებელი **გ. კაპანაძე**
კორექტორი **რ. ასათიანი**

საბეჭდი ქაღალდი 60X84 $^{1}/_{16}$; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5,25; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,0.

საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი 380030, ყიფშიძის 10.
ტელ.: 899530487

ÝÊÎ Í Î Ì ÈÊÀ

Ó÷åáíèê äëÿ VII êëàññà ñðåäíåé øêîëû

(íà ãðóçèíñêîì ÿçûêå)

Èçäàòåëüñêàÿ ôèðìà "Ñèàõëå"

Òáèëèñè 2004

ECONOMIÑS

Text Book for secondary school VII class

(in Georgian language)

Publishing firm "Siakhle"

Tbilisi 2004